პროლეტარელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1976 კვირა 16 მაისი № 114 (16544) ფასი 2 კაპ. 1976

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲙᲣᲗᲮᲚᲔᲚᲘᲡ ᲕᲐᲮᲢᲨᲘ

ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲐᲓ თანამშრომლობენ საბჭოთა კავშირის მცირე სიმძლავრის ელექტრომანქანების ტექნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტისა და თბილისის ქარხანა „მიკროძრავის“ სპეციალისტები. სურათზე: ინსტიტუტის ექსპერიმენტული საამქროს ამწყობი ზეინკალი, რ. ᲣᲐᲠᲣᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ და ქარხნის გამმართველი ბ. ᲩᲐᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ განიხილავენ მეცნიერული ნამუშევრების დანერგვის მიმდინარეობას.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

1976 წელი გარდატეხის წელი უნდა გახდეს სრულფასოვანი საკვებით მეცხოველეობის უზრუნველყოფის საქმეში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „1976 წელს საზოგადოებრივი მეცხოველეობის საკვების დამზადების ყველა შესაძლებლობის სრული გამოყენების ღონისძიებათა შესახებ“.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ თუმცა რესპუბლიკის მეცხოველეობის განვითარებაში ბოლო სამი წლის მანძილზე მიღწეულია ზოგიერთი წარმატება, საკვებწარმოების ზრდის არსებული ტემპი მაინც ვერ უზრუნველყოფს იმ მოჭიქნის აღებას, რომლებიც განსაზღვრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმმა. თუმცა შარშან გეგმის გადამეტებით დამზადდა ყველა სახეობის უხეში საკვები, მეტი წილი რაიონების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დიდი გაჭირვებით გაართვეს თავი საზოგადოებრივი მეცხოველეობის გაჭიანურებულ გამოზამთრებას.

განსაკუთრებით ძნელ პირობებში მიმდინარეობდა გამოზამთრება იმ რაიონებში, რომლებმაც ერთ პირობით სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვზე გაანგარიშებით დაამზადეს ნაკლები საკვები, ვიდრე საშუალოდ რესპუბლიკაში, ეხე იგი 10.9 ცენტნერ საკვებ ერთეულზე ნაკლები. საკვების მწვავე ნაკლებობა იყო ხიდისადის, თანარის, ფერჯოლის, მაიაკოვსკის, საჩხერის, ონის, ამბროლაურის, ცაგერისა და სხვა რაიონების მეურნეობებში, რომლებმაც 1976 წლის პირველ კვარტალში შეამცირეს რძის ხაშუალო ნაწველი გაული წლის იმავე პერიოდთან შედარებით.

პარტიული, საბჭოთა, სახოფლო-სამეურნეო ორგანოები, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათშორისო საწარმოების პირველადი პარტიული ორგანიზაციები და ხელმძღვანელები არ რაზმავენ კოლექტივებს საკვების დამზადების ყველა შესაძლებლობის დროულად გამოყენებისათვის, აცდენენ თიბვის საუკეთესო ვადებს, სათანადოდ არ ზრუნავენ ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრების პროდუქტიულობის ამაღლებისათვის; რესპუბლიკაში დამზადებული საკვები დაბალი ხარისხისაა, არ შეიცავს საკმაო რაოდენობით პროტეინს. ჯერ კიდევ ყველგან სათანადო პასუხისმგებლობით როდი ეკიდებიან მეცხოველეობის კულტურული წარმოების უმნიშვნელოვანეს ბოთხოვნას, რომ ქმევის წინ საკვები აუცილებლად უნდა შეშზადდეს, რაც ხელს უწყობს ცხოველთა ორგანიზმის მიერ საკვებ ნივთიერებათა შეთვისების ამაღლებას და მკვეთრად ამცირებს საკვების დანაკარგებს.

ბევრი რაიონის პარტიული, საბჭოთა, სახოფლო-სამეურნეო ორგანოები ჯერჯვნად ვერ აფასებენ ვიტამინიანი ბალახის ფხვნილის მნიშვნელობას პირუტყვის სრულფასოვანი კვების ორგანიზაციის საქმეში. 1975 წელს წარმოებული იყო 19,7 ათასი ტონა ვიტამინიანი ბალახის ფხვნილი, გეგმით გათვალისწინებული 30 ათასი ტონის ნაცვლად — ბალახის ფხვნილის დამზადების გეგმა ჩაშალეს ბოგდანოვკის, საგარეჯოს, ხიდისადის, ლაგოდეხისა და სხვა რაიონებმა. სათანადო ყურადღება არ ეთმობა საკვების დამზადების პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვას. შარშან რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვერ შეასრულეს კარბამიდიანი სილოსის ჩადების გეგმა: გეგმით გათვალისწინებული 500 ათასი ტონის ნაცვლად ჩადეს 317 ათასი ტონა, რაც შეადგენს დავალების 63,4 პროცენტს. ჯერ კიდევ ხრულად არ ხორციელდება ღონისძიებანი სახოფლო-სამეურნეო და სამრეწველო წარმოების ნარჩენების საკვებად გამოყენებისათვის.

რესპუბლიკის ბევრ რაიონში სათანადოდ არ იყენებენ როგორც ბუნებრივი, ისე ნათესი ბალახების განმეორებით თიბვის შესაძლებლობებს. კერძოდ, მარნეულის, გარდაბნის, ბოლნისისა და ბევრი სხვა რაიონის ზოგიერთ მეურნეობაში სარწყავ მიწებზე იონჯის ბასული წლების ნათესებს ოთხჯერ-ხუთჯერ კი არა, მხოლოდ ორჯერ თიბავენ.

თივის მარაგის გადიდებისათვის საკმარისად არ იყენებენ ნაკვეთებს, — აეროდრომებს, განსხვისებული გზების ზოლებს, გზისპირებს, ტყის მდელოებსა და თიბვისათვის გამოსადეგ სხვა ადგილებს. საკვები კულტურების ნათესებისათვის არ ავლენენ და არ თვისებენ ეგრეთწოდებულ მიგდებულ ადგილებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, რომლებიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ 1976 წელს — მეათე ხუთწლედის პირველ წელს — საკვებით საზოგადოებრივი მეცხოველეობის მაქსიმალურად უზრუნველყოფისათვის საკვების დამზადების ყველა არსებული დამატებითი შესაძლებლობის დროულად ამოქმედებას, საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის სსრ და აჭარის სსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების საბჭოების აღმასკომებს, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეობათშორისო გაერთიანებების პარტიულ კომიტეტებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს და კოლექტივებს, მეცხოველეობის განვითარების დარგში მთავარ ამოცანად დაუსახეს საზოგადოებრივი მეცხოველეობის უზრუნველყოფა ყველა საკვებით იმ ანგარიშით, რომ ერთი პირობით სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვზე წელიწადში მოდიოდეს 27 ცენტნერი საკვები ერთეული და გამოზამთრების პერიოდში — 16 ცენტნერი საკვები ერთეული.

პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის სსრ და აჭარის სსრ მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების საბჭოების აღმასკომებს წინადადება მიეცათ:

დაუყოვნებლივ და სრულად გამოიყენონ საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის საკვების დამზადების ყველა შესაძლებლობა, ამასთან მხედველობაში იქონიონ ხორცისა და რძის მრეწველობის, მეშეცნარეობისა და მეფრინველეობის, მელვინეობისა და კონსერვის მრეწველობის, ეთერეზეოვანთა და ტყავის წარმოების ნარჩენების შეგროვება და საკვებად გადამუშავება. აგრეთვე ნედლეულის სხვა წყაროების გამოყენება 41,6 ათასი ტონა საკვები ერთეულის ოდენობით საკვების დასამზადებლად. უზრუნველყონ კომბინირებული სილოსის დამზადების გეგმის უთუოდ შესრულება; თივის მარაგის შესავსებად მოთიბონ ბალახი სამოქალაქო ავიაციის აეროდრომებზე, არ დაუშვან დანაკარგები საკვების მოსავლის აღებისა და დამზადების დროს, კერძოდ, ყველგან ძირშივე მოჭრან სიმინდის ჩალა და თავთავიანი ბურეული; დიდმწარმოებლურად გამოიყენონ ვიტამინიანი ბალახის ფხვნილის დასამზადებელი აგრეგატები.

დადგენილებაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ კატეგორიულად უნდა აღიკვეთოს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათშორისო ორგანიზაციების ყველა ცდა მინაწერების ხაშუალებით ხელოვნურად გაზარდონ საკვების დამზადების გეგმის შესრულების მაჩვენებლები, რაც წინათ ხდებოდა.

საქართველოს კომპარტიის წყალტუბოს, ხამტრედიის, ახაშის, გეგეჭკორის, ლანჩხუთისა და ცხაკაიას რაიონული კომიტეტები და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომები ვალდებულია არიან 1976 წელს და მომდევნო წლებში ყოველწლიურად უზრუნველყონ სოიოს მწვანე მასიდან 400 ტონა ვიტამინის ფხვნილის წარმოება და 200 ტონა სოიოს მწვანე მასის ჩაბარება კომბინირებული საკვების მრეწველობისათვის.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაევალა კონკრეტული დახმარება გაუწიოს კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს ახალი საკვებსაამქროების მშენებლობასა და არსებულის ამოქმედებაში ისე, რომ პირუტყვს ყველა საკვებს მხოლოდ შემზადებული სახით აჭმევდნენ. უზრუნველყოს საჭირო რაოდენობით რძის მეავე სიფუარის წარმოება ნამჯის დასილოსებისათვის და მოაწყოს მეურნეობათა სპეციალისტების ინსტრუქტაჟი მისი გამოყენების ხერხების შესახებ; უზრუნველყოს „საქსოფლტექნიკასთან“ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელშეკრულებათა დადება გამდელოების გზით 2.855 ჰექტარი მაღალპროდუქტიული სათიბებისა და საძოვრების შექმნის თაობაზე; შეუფერხებლად მიიღოს სახოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ნარჩენები სამეურნეობათშორისო საკვებსაამქროებსა და საკვებსამზარეულოებში გამოსაყენებლად. გარდა ამისა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და მისმა რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქფრინველმრეწვამ“ მეჯვრისხევის მეფრინველეობის ფაბრიკაში უნდა უზრუნველყონ 2 ათასი ტონა ფრინველის ხეინტლის, რომლორც ახალი სახეობის საკვების, შეგროვება და გადამუშავება, ხოლო საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარულმა სასწავლო-კვლევითმა ინსტიტუტმა მეთოდიკური დახმარება უნდა გაუწიოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სუქებისას ფრინველის ხეინტლის გამოყენებაში.

რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაევალთ: 1976 წლის 1 ივნისამდე მარნეულის რაიონის მუღანლოს სპეციალიზებულ საბჭოთა მეურნეობაში მოაწყონ ხემინარები ბალახის ხელოვნური შრობის აგრეგატების მომსახურე მექანიზატორთა მოსამზადებლად, ამასთან უზრუნველყონ ბალახის ფხვნილის დამზადების ტექნოლოგიის პრაქტიკული ჩვენება, აგრეთვე საჭირო პრაქტიკული დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს წარმოებაში საკვების დამზადების პროგრესული მეთოდების (აქტიური ვენტილაციით თივის გაშრობა, საკვების დაბრიკეტება და გრანულირება) ფართოდ დანერგვაში.

„საქსოფლტექნიკამ“ უნდა უზრუნველყოს კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან დადებულ ხელშეკრულებათა შესაბამისად ბუნებრივი მდელოებისა და საძოვრების გაუმჯობესების სამუშაოთა მთელი მოცულობის უთუოდ შესრულება, აგრეთვე საკვებსაამქროების, საკვებსამზარეულოების მოწყობასა და ვიტამინიანი ფხვნილის აგრეგატების დადგმასა და მონტაჟზე, ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემაზე რესპუბლიკის სამინისტროების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განკარგულების შესრულება.

საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს წინადადება მიეცა უზრუნველყოს მეურნეობებისაგან მთელი საფურაჟე მარცვლეულის შეუფერხებელი მიღება და კომბინირებულ საკვებზე გაცვლა; საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებში განაცალებლად გადაეცეს ხაფქვავი მრეწველობის 10 ათასი ტონა ნარჩენები.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს ღვინის მასალების გადამუშავების შემდეგ დარჩენილი 2 მილიონი დეკალიტრი თხლის გადამუშავება საკვებ პროდუქტებთან, ამასთან გათვალისწინოს „ღვინის“ ბენტონიტისა და ბუყის, როგორც საკვებ საშუალებათა წარმოება, აგრეთვე ელეო-კაკაოდან 100 ტონა საკვები ფხვნილის გამომუშავება. თბილისის ცხიმის კომბინატმა უნდა დაიწყოს გამომუშავებული გუშბრინის გამოშრობა და საკვებად გამოუშვას 130 ტონა ეს პროდუქტი.

სსრ კავშირის კომბინირებული საკვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალს დაევალა, რომ ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს „ღვინის“ ბენტონიტების შრობისა და ფხვიერი „ცხიმის“ ბენტონიტების გამომუშავების რეკომენდაციები, აგრეთვე კვების მრეწველობის თხევადი ნარჩენების ტრანსპორტირებისა და გამოყენების ტექნოლოგია.

ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარმა საწარმოო სამმართველომ — „საქმთავარენერგომ“ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და „საქსოფლტექნიკასთან“ ერთად უნდა უზრუნველყოს 25 ტრანსფორმატორის მიწოდება, მათი მონტაჟი და ელექტროენერგიის მიწოდება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ვიტამინიან ფქვილის აგრეგატებზე.

ყაზბეგის, დუშეთის, თიანეთის, ლენინგორისა და ჯავის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა, აგრეთვე კოჩუბეევკის საკვების საბჭოთა მეურნეობის დირექციამ ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე ცხვრის გამოზამთრებისათვის უნდა დაამზადონ 63 ათასი ტონა უხეში საკვები, მათ შორის 3 ათასი ტონა სენაჟი, აგრეთვე 3 ათასი ტონა მზა სილოსი და ათასი ტონა სრულფასოვანი საკვები გრანულები.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს დაევალა ქალაქის ტერიტორიაზე საკუთარი ძალებით დამზადოს 240 ტონა თივა და გადასცეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხატუეი მეურნეობის ხახელმწიფო კომიტეტს წინადადება მიეცა, რომ უზრუნველყოს რესპუბლიკის ტყეებში მარადმწვანე ქვეტყის, წიწვის, აკაციის რტოებისა და სხვა მწვანე მასის დამზადება და მიხგან ხულ ცოტა 1.000 ტონა ფხვნილის დამზადება ხელოვნური შრობის მეთოდით; ტყის მდელოებზე ბალახის თიბვა და 3.000 ტონა თივის დამზადება; ღორის ხაკვებად 50 ტონა რკოს, წიფლის, ცხენისწაბლისა და სხვა ნაყოფის შეგროვება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მოიწონეს საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის წინადადება, რომ შეიქმნას საკვებმომპოვებელი ახალგაზრდული ბრიგადები, კვირაობებისა და სახალხულო არდადეგების დროს საკვებწარმოებაში ფართოდ ჩაებან უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, ტექნიკუმებისა და სკოლების მოსწავლეები, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მათი შრომის ეფექტიანობას.

პირველი კვირაობა საკვების დასამზადებლად 1976 წლის 16 მაისს ეწყობა.

ᲡᲙᲙᲙ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

სკკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების კონფერენციის სარედაქციო კომისიის სხდომაზე (სხდომა ბელრლინში გაიმართა მიმდინარე წლის 4-6 მაისს) საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის საქმიანობის ანგარიში და მოიწონა მისი საქმიანობა. სკკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ კმაყოფილებით აღნიშნა სხდომის მონაწილე პარტიების საერთო მისწრაფება მოიწვიონ კონფერენცია უახლოეს დროში. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი თავისი წვლილი შეიტანოს ჩვენი კონტინენტის კომუნისტთა ფორუმის მომზადების დამთავრებასა და წარმატებით ჩატარებაში.

ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲙᲣᲠᲡᲘᲗ

ᲒᲐᲛᲝᲪᲘᲓᲐ Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲐᲢᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲐᲗᲔ ᲢᲝᲛᲘ

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა სკკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებისა და სტატიების მეთუთე ტომი „ლენინური კურსით“. წიგნში შეტანილია ამხანაგ ბრეჟნევის სიტყვები, მოხსენებები და გამოსვლები, რომლებიც 1974-1976 წლებს მიეკუთვნება.

სიტყვებსა და გამოსვლებში ასახულია პარტიისა და ხალხის ახალი მიღწევები სკკკ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებაში, ჩვენი საზოგადოების, მისი ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების თანამედროვე ეტაპის თვისებები და თავისებურებები, აღნიშნულია მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესება. ტომის ფურცლებზე მკაფიოდ და კონკრეტულად არის ასახული, თუ როგორ ხორციელდება პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თანმიმდევრული კლასობრივი ლენინური საგარეო პოლიტიკური კურსი.

ტომში გამოქვეყნებულია მოხსენება „ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში“, რომელიც სკკკ XXV ყრილობაზე გაკეთდა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

კრებულის შინაარსი თვალსაჩინოდ ასახავს სკკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური/ მდივნის უდიდეს როლს ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს, მთელი ჩვენი პარტიის მუშაობაში.

ტომში შესული ნაშრომები კოზეუნისტებს, ყველა საბჭოთა ადამიანს აიარაღებს კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე ვრცელი სამოქმედო პროგრამით. (საკდესი).

თათბირი საავტორო უფლების საკითხებზე

მოსკოვში გაიმართა სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენელთა თათბირი საავტორო უფლების საკითხებზე. თათბირზე მონაწილეობდნენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბის, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის, სსრ კავშირის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაციები. თათბირის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი ჰელსინკის თათბირის საბოლოო აქტის დებულებათა სულისკვეთებით თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ.

თათბირის მონაწილეები მიიღო სკკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ვ. ზიმიანინმა. გაიმართა ამხანაგური, მეგობრული საუბარი.

15 მაისი

„ᲘᲠᲐᲕᲓᲘᲡ“ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ

ᲐᲮᲚᲘᲡ, ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲡᲠᲔᲜᲘ

როგორც გაზეთი აღნიშნავს, მეათე ხუთწლედის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება. სწორედ ამ საფუძველზე განვითარდება სახალხო მეურნეობის ყველა დარგი, გაიზრდება წარმოების ეფექტიანობა, გაუმჯობესდება მისი ხარისხობრივი მაჩვენებლები. სკკკ XXV ყრილობაზე ითქვა, რომ მეცნიერული იდეების პრაქტიკული დანერგვა დღეს არანაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანაა, ვიდრე მათი დამუშავება.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის წარმატებას, ეკონომიკაზე, საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარეზე, მის კეთილისმყოფელ გავლენას, აღნიშნა სკკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ვერ უზრუნველყოფს მხოლოდ მეცნიერ მუშაკთა მეცადინეობა. ამ ისტორიული მნიშვნელობის პროცესში სულ უფრო დიდი როლი მიეკუთვნება საზოგადოებრივი წარმოების ყველა მონაწილის, სამეურნეო მექანიზმის ყველა რგოლის ჩაბმას.

წარმოების ეფექტიანობისათვის, განაგრძობს გაზეთი მოწონაგეში („ახლის, მოწინავის მომხრენი“), ინტენსიფიკაციისათვის — მთავარი ყურადღების დათმობა პარტიის ეკონომიური სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. პარტიულ ორგანიზაციათა პირდაპირი მოვალეობაა დროულად მიუთითონ იმათ, ვინც კონსერვატიზმს იჩენს, გადაჭრით ებრძოლონ უძრაობის წინააღმდეგ, ხელმძღვანელი კადრებს, ყველა მშრომელს ჩაუნერგონ მეცნიერების პატივისცემა.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლა ახალ გაჭირვებას იძენს მეათე ხუთწლედში. შრომის მეცნიერული ორგანიზაციის პრინციპების, მოწინავე გამოცდილების, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების ფართოდ დანერგვა წარმოებაში სკკკ XXV ყრილობის წინასწარდასახულობათა წარმატებით განხორციელების, კომუნისტური მშენებლობის გზაზე ახალ წარმატებათა მიღწევის საწინდარია.

„რიტმი — მწყობრი, ხარისხი — საუკეთესო“, ასეთი მოწოდება მიმართეს ამას წინათ მინსკელმა მანქანათმშენებლებმა მინსკის სხვა საწარმოდაწესებულებათა კოლექტივებს. ამას „პრავდა“ 14 აპრილს იტყობინებოდა. როგორ ვითარდება ეს თხოვნობა ბელორუსიის დედაქალაქში? გაზეთი ამის გამო პირველ გვერდზე აქვეყნებს კორესპონდენტის წერილს. აქვეა შეჯიბრების დღიური და რუბრიკა — „მოსავლის ესტაფეტა: რეპორტაჟი კომენტარით“.

გაზეთის მთელი მესამე გვერდი დათმობილი აქვს მკითხველთა წერილებს. „უხვად არის წარმოდგენილი საკავშირო და საერთაშორისო ინფორმაცია.

გაზეთი ბეჭდავს საკუთარი კორესპონდენტის ცნობას („წიგნის იუბილე“), რომ ჩვენში ფართოდ ემზადებიან გამოჩენილი ქართველი მედაგოგისა და მწერლის იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი „დედა ენის“ მეასე წლისთავის აღსანიშნავად.

ᲓᲦᲔᲡ, 16 ᲛᲐᲘᲡᲡ, ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲕᲘᲠᲐᲝᲑᲐᲐ!

საბჭოების დიდი საზრუნავი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიაში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო მუდმივი კომისიის სხდომა, რომელშიც განიხილა კომისიის წევრის, დეპუტატ ლ. ისაკაძის მოხსენება „მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და სახელმწიფო სახსრების ეკონომიური ხარჯვის მდგომარეობის თაობაზე „მუდმივი კომისიის 1973 წლის 6 დეკემბრის დადგენილების შესრულების შესახებ".

1974-1975 წლებში სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებისათვის აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 36 შენობა, შესრულდა 6 შენობის სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოები. ამ პერიოდში სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებისათვის გამოყოფილია 62 მსუბუქი ავტომობილი და 36 მოტოციკლი, საჭირო ინვენტარი.

სასოფლო და სადაბო საბჭოების ბევრი აღმასკომი ჯერ კიდევ უზრუნველყოფილი არ არის ადმინისტრაციული შენობებით. ზოგიერთი მათგანი (სიღნაღის, ზესტაფონის, ცხაკაიას, ქედის რაიონები) მოთავსებულია სრულიად შეუფერებელ და ავარიულ შენობებში; არ სრულდება ახალი შენობების მშენებლობის გეგმები. აღმასკომები საკმარისად არ არიან უზრუნველყოფილი ავტო-მოტოტრანსპორტით, ბევრ მათგანს სჭირდება სამეურნეო ინვენტარი.

აღინიშნა ნაკლოვანებები თვითმბეგვრის თანხების გამოყენებაშიც. ხშირ შემთხვევაში ამ სახსრებს დროულად და დანიშნულებისამებრ არ ხარჯავენ.

გორისა და ქარელის რაიონების სასოფლო საბჭოებში იყო სახელმწიფო სახსრების მითვისების ფიქტები.

ეს და სხვა ნაკლოვანებები იმის შედეგია, რომ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომები ჯეროვან დახმარებას არ უწევენ სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებს საბიუჯეტო უფლებების განხორციელებასა და მატერიალურ-ფინანსური ბაზის განმტკიცებაში, სუსტად უწევენ კონტროლს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიის დადგენილების შესრულებას.

კომისიის მუშაობის შედეგები შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ, დეპუტატმა ზ. ჩხეიძემ.

განხილულ საკითხზე მიღებულია შესაბამისი დადგენილება.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივ კომისიაში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივი კომისიის სხდომაზე განიხილეს ამ კომისიის თავმჯდომარის ნ. ნეფედოვის მოხსენება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სისტემის ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობის შესახებ.

სხდომაზე აღინიშნა, რომ უკანასკნელ წლებში რამდენადმე განმტკიცდა სტრანსპორტო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მწყობრში ჩადგა ავტოვაგზლების ახალი შენობები, პროფილაქტორიუმები, მეტი ყურადღება ეთმობა შრომატეხვადი სამუშაოების მექანიზაციას, დაიდგა სპეციალური ავტომატები ბილეთების გასაყიდად.

მაგრამ ამ დარგში, როგორც კომისიის სხდომაზე აღინიშნა, სერიოზული ნაკლოვანებებიც არის.

მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური მომსახურებისათვის საკმარისად არ იყენებენ აგრეგატულ-უბნობრივ მეთოდს. მთელ რიგ ავტოსაწყობოებში სათანადო კონტროლს არ უწევენ ტრანსპორტის ტექნიკურ მომსახურებასა და შეკეთების ხარისხს. არადამაკმაყოფილებლად სრულდება მოძრავი შემადგენლობის ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა ოპერაციის გრაფიკი. ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ შრომატევადი პროცესების მექანიზაციას ბათუმის, წალკის, ყვარლისა და სხვა ავტომეურნეობებში.

ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები საკმარის ზრუნვას არ იჩენენ ავტომეურნეობათა მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის.

განხილულ საკითხზე კომისიამ მიიღო შესაბამისი დადგენილება.

(საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ინფორმაციული).

კინემატოგრაფისტთა კავშირის გაგეგეობის პლენუმი

14 მაისს გაიმართა სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა III ყრილობაზე არჩეული კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველი პლენუმი.

პლენუმმა გაიგეობის პირველ მდივნად აირჩია ლ. ა. ულიჯანოვი.

გამგეობის მდივნებად აირჩიეს ჩ. აიტმატოვი, ა. უ. აშიმოვი, ა. ვ. ბატალოვი, მ. ა. ბოგდანოვი, ს. ი. ბონდარჩუკი, ს. ა. გერასიმოვი, ი. ა. გრიიეუსი, მ. ე. ზვრობულისი, ა. მ. ზგურიდი, მ. კ. კაიუმოვი, კ. ლ. კალანტარი, ა. ი. კაპლერი, ა. ვ. კარიგანოვი, რ. ლ. კარმენი, კ. კ. კიისკი, ტ. ვ. ლევჩუკი, ვ. პ. ლისაკოვიჩი, ე. ს. მატვეევი, ჯ. ვ. მელნიკოვი, ბ. ა. მეტალნიკოვი, მ. მირმაკაროვი, ვ. ვ. მონახოვი, ხ. ნარლიევი, ვ. ნ. ნაუმოვი, ი. ნ. ოზეროვი, ვ. ი. პასკარი ს. ი. როსტოცკი, ვ. ვ. სანაეი, გ. სეიდბეილი, ვ. ი. სოლოვიოვი, ი. ვ. ტალანკინი, ვ. ტ. ტუროვი, ე. ნ. შენგელაია, ვ. მ. შუმსკი, გ. ნ. ჩუხრაი, ი. ე. ხეიფიცი, მ. მ. ხუციევი, სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის ორგმდივნად დაამტკიცეს გ. ბ. მარიამოვი.

სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს გ. ი. ბრიტკოვი. (საკდესი).

კონკურსის დევიზია:

„ეფექტიანობისა და ხარისხისათვის!"

„ეფექტიანობისა და ხარისხისათვის!" — ასეთია ლევიზი ახალი საკავშირო ჟურნალისტური კონკურსისა საკკ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში მოპოვებულ წარმატებათა საუკეთესო პრაქტიკის განზოგადისათვის, ახალი ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების სახალხო მეურნეობაში დანერგვის აქტიური ხელშეწყობისათვის, მეცნიერების, კულტურის, განათლებისა და ჯანმრთელობის განვითარებაში მოპოვებული მიღწევებისათვის, რომლებიც სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ექსპოზიციებში აისახა. კონკურსი გამოაცხადეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენამ, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირმა, სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირმა, კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა.

ამ შემოქმედებითს შეჯიბრებაში შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ჟურნალ-გაზეთების, საინფორმაციო სააგენტოების რედაქციებს, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტებს, კინოსტუდიებს.

კონკურსის პირობებში განსაკუთრებით ხაზგასმულია, რომ ყიურის განსახილველად წარდგენილი ნამუშევრები გამოფენის მასალების მიხედვით უნდა იყოს სისტემატური და აქტიურ პროპაგანდას უწევდეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითად მიმართულებებს. ღრმად აშუქებდეს მათი განხორციელების კონკრეტულ გზებს, გამოფენის მონაწილეთა მაგალითებით ფართოდ აჩვენებდეს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, მთელი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების, მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარების გამოცდილებას. საკონკურსო ნამუშევრები უნდა ასახავდნენ აგრეთვე საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის საკითხებს, მიმდინარეობასა და შედეგებს, ავლენდნენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საკავშირო საპატიო დიპლომზე შეტანილი კოლექტივების გამოცდილებას.

კონკურსი გამოცხადებულია ხუთი წლის ვადით — 1976 წლიდან 1980 წლის ჩათვლით. ყოველწლიურად შეჯამდება კონკურსის შედეგები და დაჯილდოვდებიან გამარჯვებულნი. გამარჯვებულ პერიოდული პრესის რედაქციებს, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტებს, რომლებიც ადგილობრივ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ოქრუს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით და ფულადი პრემიებით.

კონკურსის შედეგების შეჯამებისას ექსპოზიციებში ასახული მოწინავე გამოცდილების პროპაგანდის რეგულარულ და მიზანდასახულ ჩვენებასთან ერთად განსაკუთრებით მხედველობაში მიიღებენ ასეთი პროპაგანდის ეფექტიანობას, ფორმებისა და მეთოდების მრავალფეროვნებას, კონკურსის მონაწილეთა შემოქმედებითს ინიციატივას, ორგანიზატორულ მუშაობას, რომელიც ხელს უწყობს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების უსწრაფესად დანერგვას წარმოებაში. (საკდესი).

ოფიციალური განყოფილება

15 მაისი

ფაქტები მოვლენები პროგლემები

საკდესი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

ბულგარეთი

მეგობრული შეხვედრა

სოფია. (საკდესი). აქ გაიმართა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ტოდორ ჟივკოვის შეხვედრა ბულგარეთის საწარმოებში და მშენებლობებზე მომუშავე საბჭოთა სპეციალისტებთან, საბჭოთა საელჩოს თანამშრომლებთან და საბჭოთა დაწესებულებების წარმომადგენლებთან.

ტ. ჟივკოვმა, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ, დამსწრეთ გაანალიზა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის XI ყრილობის გადაწყვეტილებანი, ბულგარეთის კომპარტიის საქმიანობა ყრილობაზე დასახული ამოცანების შესასრულებლად. ბულგარელ კომუნისტთა ფორუმმა, აღნიშნა ტ. ჟივკოვმა, რომ ბულგარეთის კომპარტიამ აიღო განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის სწორი კურსი, მკაფიოდ დაადასტურა ბულგარელი ხალხის შეკავშირება პარტიის გარშემო. ყრილობამ გამოიყენა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სხვა მომე კომუნისტური პარტიების მდიდარი გამოცდილება და შეიმუშავა სახალხო მეურნეობის განვითარებისა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების მეშვიდე ხუთწლედის (1976-1980 წლები) პროგრამა, აგრეთვე პერსპექტივები 1990 წლამდე.

ამხ. ჟივკოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბულგარეთის კომპარტიის XI ყრილობის მუშაობაზე უდიდესი გავლენა მოახდინა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებმა.

კრგენტინა

პრეზიდენტის განცხადება

ბუენოს-აირესი. (საკდესი). არგენტინის პრეზიდენტმა გენერალმა ხორხე რაფაელ ვიდელამ დაადასტურა, რომ შეიარაღებული ძალების მთავრობის საბოლოო მიზანია აღადგინოს ქვეყანაში სრული დემოკრატია. პრესას წარმომადგენლთა წინაშე გამოსვლისას მან „ეროვნული რეორგანიზაციის" ახლანდელი პროცესი, რომელსაც სამხედროები ახორციელებენ, დაახასიათა როგორც დემოკრატიის აღდგენის გარდამავალი პერიოდი. კითხვაზე, თუ რამდენ ხანს გაგრძელდება ეს პერიოდი, პრეზიდენტმა თქვა: დასახული ამოცანის მიღწევა „დამოკიდებული დროზე და არა გარემოებებზე".

როგორც ცნობილია, სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, რაც 24 მარტს სამხედროებმა მოახდინეს, დათხოვნილია ეროვნული კონგრესი, შეჩერებულია პოლიტიკური პარტიათა საქმიანობა, შემოღებულია კონტროლი პროფკავშირებისადმი. ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ გამოცხადებულია სამხედრო ხუნტა, რომელიც კონტროლს უწევს ყველა სხვა სახელმწიფო ორგანოს.

გდრ: ყრილობის შესახებ

მეგრძოლი ავანგარდი

ბერლინი. (საკდესი). მაღალი პოლიტიკური აქტივობითა და შრომითი ენთუზიაზმით ეგებება სოციალისტური გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის IX ყრილობას. 18 მაისს ბერლინის მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლების მარქსისა და ენგელსის სახელობის მოედანზე აღმართულ რესპუბლიკის სახახლეში შეიკრიბებიან ქვეყნის ყოველი კუთხიდან ჩამოსული დელეგატები.

ამჟამად გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიაში გაერთიანებულია 2 მილიონზე მეტი მუშა და მოსამსახურე, კოოპერატორი გლეხი, სოციალისტური ინტელიგენციის წარმომადგენელი. ქვეყნის მთელი მოსახლეობის 11 პროცენტზე მეტი მუშათა კლასის მარქსისტულ-ლენინური პარტიის წევრი და კანდიდატია. თავის საქმიანობაში გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია განუხრელად ხელმძღვანელობს გენერალური პირველიპით — ყველაფერი იღონოს ხალხის კეთილდღეობისათვის, რესპუბლიკის მუშათა კლასის, ყველა მშრომელის ინტერესებისათვის.

VIII ყრილობის შემდეგ განვლილი ხუთწლედის მანძილზე პარტიამ შეძლო ალეფრთოვანებინა და დაერაზმა მილიონობით მშრომელი გერმანელ მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს ყოველმხრივი განმტკიცებისათვის, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების გაშლილ მშენებლობისათვის ყრილობაზე დასახული ამოცანის შესასრულებლად.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის აქტიური თანაშეწყენი მწენი გაზდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნულ ფრონტში გაერთიანებული დემოკრატიული პარტიები და მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, თვალსუფალი გერმანელი ახალგაზრობის „კავშირის — პარტიის მებრძოლი რეზერვის წევრი ასიათასობით ქალიშვილი და ვაჟიკაცი.

თავის საგარეო-პოლიტიკურ საქმიანობაში გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია მიზანდასახულად ახორციელებს საბჭოთა კავშირთან შემდგომი დაახლოების კურსს, ხელმძღვანელობს ისტორიული ბეშპრიტებით, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საარსებო ინტერესები საუსებით შეესაბამება საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური სახელმწიფოების მთელი თანამეგობრობის ინტერესებს. ამის ადასტურებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის სრული ერთსულოვნება საერთაშორისო მდგომარეობისა და ორივე ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიური მშენებლობის ყველა საკითხში.

ვიეტნამი ლიბანში

შეტაკებები გრძელდება

ბეირუთი. (საკდესი). ლიბანის დედაქალაქში უკანასკნელ ორ დღეში გაძლიერდა შეიარაღებული შეტაკებანი. ბრძოლები მიმდინარეობდა ხაზოვან ნავსადგურის რაიონში, ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, აინ არ-რუმანისა და შიაპის გარეუბნებში.

სიმშვიდე არ იყო ქვეყნის სხვა რაიონებშიც. მოწინააღმდეგე მხარეებს შორის ინტენსიური სროლა წარმოებდა ჩრდილოეთ ლიბანის ქალაქ ტრიპოლის მიდამოებში.

დაძაბულ შინაპოლიტიკურ მდგომარეობას ლიბანში, როგორც აქ აღნიშნავენ, ართულებს ის გარემოება, რომ სახელმწიფოს ახალი მეთაურის ი. სარკისის არჩევის მიუხედავად, ს. ფრანჯიეს ჯერ კიდევ არ მოუხსნია პრეზიდენტის უფლებამოსილება. თავის მოვალეობათა შესრულებას რომ შეუდგეს, ი. სარკისმა ფიცი უნდა დადოს, ეს კი შეუძლებელია ს. ფრანჯიეს გადადგომამდე.

ლიბანის მაჰმადიანური თემების დავალებით დამასკოში სირიის ხელმძღვანელებთან მოსალაპარაკებლად გაემგზავრა შიიტების უმაღლესი ისლამური საბჭოს თავმჯდომარე მუსა სადრი.



კარიკატურისტის კომენტარი

პენტაგონი დღენიადაგ გაკვირის „საბჭოთა საფრთხის" შესახებ. ინგლისის „ატომური განიარაღების მომრაობის" მონაწილეთა ერთსულოვანი აზრით კი, არა მითიური „საბჭოთა საფრთხე" უქმნის საშიშროებას ინგლისსა და მთელ ევროპას, ჩრდილდ დიდ ბრიტანეთის ტერატორიაზე მდებარე ამერიკული ატომური იარაღის ბაზები (გუშუეიდან).

ინდოეთი

ოპოზიციის ბანაკში

ბომბეი. (ბიბლიოთეკა).

ნინ აღვუდგეთ რეაქციას

იტალიის კომპარტიის გენერალური მდივნის ე. ბერლინგუერის მოხსენებაა

რომი. (საკდესი). იტალიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ე. ბერლინგუერმა იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმზე მოხსენება გააკეთა ქვეყანაში საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით.

ქვეყნის ახალი პოლიტიკური ხელმძღვანელობის საკითხი, განაცხადა ე. ბერლინგუერმა, ახლა ყველაზე მთავარია. იტალიას უნდა მართვადეს მთავრობის კოალიცია, რომელშიც შევლენ ყველა დემოკრატიული და სახალხო პარტიები, მათ შორის იტალიის კომუნისტური პარტიაც.

ე. ბერლინგუერმა დაწვრილებით გააანალიზა იტალიის ახლანდელი მდგომარეობა, რომელსაც ახასიათებს ეკონომიური კრიზისი, ინფლაციის ზრდა, ლირის კურსის დაცემა, დასაქმების შემცირება. იტალიაში, თქვა ე. ბერლინგუერმა, არიან ძალები, რომლებიც ცდილობენ გამოიწვიონ არეულობა, გაუჯანონ ქვეყანა რეაქციულ გზას. მათ სურთ, რადაც უნდა დაუჯდეთ, შეინარჩუნონ ძალაუფლება და პრივილეგიები, ამასთან სრულიადაც არ უშვევენ ანგარიშს იმ კატასტროფულ შედეგებს, რომლებსაც ეს პოზიცია უქადის იტალიას. ახლანდელი არჩევნები, აღნიშნა მომხსენებელმა, გაიმართება ხალხმშფოფოს ცხოვრების ყველაზე ძნელ და პასუხსაგებ პერიოდში.

შეიხო რა ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთი ხელმძღვანელის გამონათქვამებს, რომლებმაც გაიელაშქრეს მთავრობაში იტალიის კომპარტიის წარმომადგენლთა შესაძლო მონაწილეობის წინააღმდეგ, ე. ბერლინგუერმა განაცხადა: ამერიკის ხელმძღვანელები სულ უფრო ხშირად იძლევიან გაფრთხილებას ასეთი შესაძლებლობის წინააღმდეგ. რა მნიშვნელობა უნდა მიანიჭონ იტალიელებმა ამ გაფრთხილებას? ყოველი იტალიელისათვის, ვისთვისაც ძვირფასია საკუთარი ქვეყნის ღირსება, ვისაც სურს იყოს ნამდვილი პატრიოტი, უპირველესი მოვალეობაა უფლებელყოს ყოველგვარი ცდა — ზემოქმედება მოახდინონ იტალიის ეროვნულ დამოუკიდებლობაზე და ჩაიერიონ იტალიელი ხალხის სუვერენულ არჩევანში.

შეეხო რა იტალიის კომპარტიის წინაადგებებს საგარეო პოლიტიკის დარგში, ე. ბერლინგუერმა ხაზი გასვა, რომ იტალია უნდა იჩენდეს ინიციატივებს, რომლებიც მიზნად ისახავენ დაძაბულობის შენელებასა და მშვიდობის განმტკიცებას, ოგრეთვე ზრუნავდეს ევროპაში საერთაშორისო ეკონომიური თანამშრომლობის განვითარებაში. მომხსენებელმა დამსწრეთ მოგონა: იტალიის კომპარტიის პოზიცია ითვალისწინებს, რომ იტალია დარჩება ჩრდილოეთ ატლანტიკურ კავშირში და მის საბჭოთა ორგანიზაციაში იმ შემთხვევაშიც კი, თუ კომუნისტები შეელენ მთავრობის კოალიციაში.

ე. ბერლინგუერმა ყველა პარტიული ორგანიზაციის მოუწოდა ფართო სამზადისი გააჩაღონ მომავალი არჩევნებისათვის, დარაზმონ ამისათვის პარტიისა და იტალიის ახალგაზრდა კომუნისტური ფედერაციის მთელი ძალები.

საკდესი გვატყობინებს



სოფია

● **აზიისა და აფრიკის ქვეყნების ორი ათასზე მეტმა წარმომადგენელმა უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ინჟინრების, ექიმების, ეკონომისტების დიპლომები მიიღო ბულგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში.** 200 ასპირანტმა და ახალგაზრდა მეცნიერმა დაიცვა აქ საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. ვარდა ამისა, 2,5 ათასზე მეტმა მუშამ და ტექნიკოსმა აიმაღლა კვალიფიკაცია ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში და მშენებლობებზე სტაჟირების დროს.

კოპენჰაგენი

● **„ევროპის ეკონომიური გაერთიანებიდან დანიის გამოსვლისათვის მებრძოლი სახალხო მოძრაობის"** ორგანიზაციის წარმომადგენელთა კონფერენციამ მოუწოდა ხალხს გააქტიურებულ ბრძოლა „საერთო ბაზრიდან" დანიის გამოსვლისათვის.

ლიმა

● **სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნების შვიდი წლის განმავლობაში ელექტროენერგიის წარმოება პერუში ერთიორად გადიდდა, იუწყება სახელმწიფო სამმართველო „ელექტროპერუ".** პერუელ ენერგეტიკოსთა მთავარი ამოცანაა ბოლო მოუღონ ელექტროენერგიის ნაკლებობას, რომელიც განსაკუთრებით იგრძნობა სოფლის მეურნეობაში.

ვაშინგტონი

● **სენატის აფრიკის ხაქმეთა ქვეკომისიაში დაიწყო მოსმენა, რომელიც ეძღვნება აფრიკის კონტინენტის სამხრეთ ნაწილში შექმნილ მდგომარეობას და ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას ამ რაიონში.**

გახსნა რა მოსმენა, ქვეკომისიის თავმჯდომარემ სენატორმა გ. კლარკმა აღნიშნა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის არათანამიმდევრულობა აფრიკის მიმართ. ჩვენ, თქვა მან, ხშირად ვაცხადებდით ერთს, ხოლო ვაკეთებდით მეორეს, რაც ძირს უთხრიდა ფეოდალური ნდობას ჩვენს მიმართ.

მუკალედ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

განიხილავენ მწვავე პროგლემებს

იუნკტადის სესიაზე

ქენიის დედაქალაქ ნაირობში მიმდინარეობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (იუნკტადის) IV სესიისათვის მსოფლიოს 150 ქვეყნის 4.500-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობს. სესიის მუშაობა 28 მაისამდე გასტანს.

მკითხველებს შევახსენებთ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ეს შუამავალი ორგანო შეიქმნა 1964 წელს ქენეგვიმი გამართული ამ კონფერენციის პირველ სესიაზე მიღებული დასკვნითი აქტისა და გენერალური ასამბლეის XIX სესიის რეზოლუციის საფუძველზე. კონფერენციაში მონაწილეობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, მისი სპეციალიზებული ორგანიზაციებისა და მაგატეს (ატომური ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების ხელშეშეწყობი საერთაშორისო ორგანიზაციის) ყველა წევრი ქვეყანა.

იუნკტადის მთავარი ფუნქციებია: ხელი შეუწყოს საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას, კერძოდ, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობის სახელმწიფოებს შორის; შეიმუშაოს რეკომენდაციები ამ საკაჭრო ურთიერთობის პრინციპების განხორციელებისათვის; არეგულირებს მთავრობათა და რეგიონალურ ეკონომიურ დაჯგუფებათა პოლიტიკას ვაჭრობის და მასთან დაკავშირებული ეკონომიური განვითარების ასპექტების დარგში.

იუნკტადის სესიები იმართება სამ წელიწადში ერთხელ. მათ შორის პერიოდში კონფერენციის ფუნქციებს ასრულებს ვაჭრობისა და განვითარების საბჭო, რომელიც ყოველწლიურად გენერალურ ასამბლეას წარუდგენს მოსსენებას თავისი საქმიანობის შესახებ.

ახლანდელ სესიაზე იხილავენ საკითხებს, რომლებიც პოტენციურად აღსავსეა კონფლიქტებით ერთი მხრივ, დასავლეთის განვითარებულ სახელმწიფოებს და მეორე მხრივ აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის განვითარებად ქვეყნებს შორის.

დღის წესრიგში შეტანილი საკითხებიდან სესიის განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში დგას ორი საკითხი: პირველი — განვითარებადი ქვეყნების საერაპორტო ნედლეულზე სტაბილური და ხელსაყრელი ფასების დაწესების შესახებ და მეორე — ამ ქვეყნების ბუნებრივ სიმდიდრეებზე სუვერენული უფლებების გაფართოებისა და განმტკიცების შესახებ.

ასეთი მოთხოვნები, რომელსაც მხარს უჭერენ აგრეთვე სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები, საკსებით სამართლიანი და აქტუალურია, რამდენადაც სამრეწველო თვალსაზრისით განვითარებული დასავლეთის კაპიტალისტური სახელმწიფოები მწვავე ეკონომიური კრიზისიდან თავის დაღწევას ე. წ. „მესამე სამყაროს" ქვეყნების ხარჯზე, სანედლეულო საქონლის ფასების მკვეთრი შემცირების გზით ცდილობენ.

ცხადია, დასავლეთის ამგვარი საეჭვო პოლიტიკა კანონიერად აღაშფოთებს განვითარებად ქვეყნებს, მით უმეტეს, რომ მათ შორის არის სახელმწიფოები, რომელთა ეკონომიკა ზოგჯერ მხოლოდ ერთი დასახელების საექსპორტო კულტურაზე ან ერთი სახის მინერალურ ნედლეულზეა დამოკიდებული. და ამდენად თუნდაც ერთი წლის მოუსავლიანობა ან მსოფლიო ფასების მერყეობა ქვეყნის ეკონომიკას კატასტროფის წინაშე აყენებს, დავალიანების სწრაფ ზრდას იწვევს. სტატისტიკური მონაცემებით, განვითარებადი სახელმწიფოების საგადამხდელო დეფიციტმა შარშან 45 მილიარდ დოლარს გადააჭარბა, ხოლო ახლანდელმა დავალიანებამ — 100 მილიარდს.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ეს სახელმწიფოები თავიანთი ეროვნული შემოსავლის 80 პროცენტს ნედლეულს გაყიდვით იღებენ, მაშინ ცხადი გახდება, თუ რაოდენ საარსებო მნიშვნელობა აქვს ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნას — ძირითად საექსპორტო ნედლეულზე (ყავაზე, ბამბაზე, კაუჩუკზე, სპილენძზე, თუთიაზე და სხვ.) სამართლიანი და სტაბილური ფასების დაწესებას.

როგორც ზემოთ ითქვა, მეორე უანმაზნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს განვითარებადი ქვეყნების სუვერენიტეტი მათი ბუნებრივი სიმდიდრეებისადმი. მეტწილად ამ სიმდიდრეს კვლავ უცხოელთის მძლავრი მონოპოლიები უშვევენ კონტროლს, რის შედეგადაც მარტო უკანასკნელ სამ წელიწადში დასავლეთის კომპანიებმა „მესამე სამყაროდან" 22 მილიარდ დოლარზე მეტი წმინდა მოგება მიიღეს. ეს კი ბევრს მოწმობს, რომ დამზობილი კოლონიური სისტემა განვითარებად ქვეყნებში ნეოკოლონიალიზმის ნიღბით მოქმედებს და უმოწყალოდ ძარცვა გრძელდება.

უკანასკნელ ხანებში კაპიტალისტური დასავლეთი ცდილობს „მესამე სამყაროსთან" ურთიერთობის ექსპლოატატორული ბუნების შენიღბოს სხვადასხვა წვრილმანი დათმობებით და საფინანსო-ეკონომიური დახმარებით. მაგრამ ამავე დროს ნაირობში მისმა წარმომადგენელმა, კერძოდ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა წამოაყენა წინადადებები, რომლებიც მიზნად ისახავენ ამჟამად არსებული „ურთიერთთანამშრომლობის" შენარჩუნებას.

ასეთი მანევრები სულ უფრო ეიოლად ამოსაცნობი ხდება ბევრ აზიის, აფრიკის და ლათინურ ამერიკის ქვეყნები სულ უფრო მეტად რწმუნდებიან, რომ ახალ საერთაშორისო ეკონომიური წესრიგის დამყარება, უწინარეს ყოვლისა, გულისხმობს კოლონიური წარსულისათვის დამახასიათებელ ეკონომიური ურთიერთკავშირების სრულ აღმოფხვრას.

ისინი სულ უფრო მეტად რწმუნდებიან, რომ მათი ინტერესების უანგარო დაცველი სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა სახელმწიფოები, რომლებიც მხარს უჭერენ საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობის გაფართოებას, ურთიერთსასარგებლო სამართლიანობას, თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთსაგებლობის საფუძველზე.

ნაირობის სესიის შედეგებს დიდი მნიშვნელობა ექნება მომავლისათვის, ვინაიდან მისი წარუმატებლობა, როგორც იუნკტადის ბოლო სესიებზე, ან ეროვნულ-სამართლიანელმა კოალიციამ ვანაცხადა „ვამოიწვევს საერთაშორისო ძაბულობის რამდენადმე გაძლიერებას. პოლიტიკური თვალსაზრისით ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება იმის, რომ ნაირობის შეჯამება წარმატებით დამთავრდეს.

ბ. სამსონაძე.

ჩილეს ტრაგედია არ განმეორდეს

ნაირობი. (საკდესი). კენიის დედაქალაქში მუშაობას განაგრძობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის მეოთხე სესია.

მონგოლეთის დელეგაციის მეთაურმა, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ე. ოჩირმა სესიაზე ხაზგასმით აღნიშნა, რა დიდი მნიშვნელობა აქვს მისი ქვეყნის თანამშრომლობას ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებთან.

სესიის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს დელეგაციის მეთაურს ჯ. ალმეიდას, რომელიც ჩილეს საგარეო საქმეთა მინისტრი იყო სალვადორ ალიენდეს მთავრობაში. ზოგიერთი მთავრობისა და მრავალეროვნული კორპორაციის ჩარეულ სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში, თქვა მან, მნიშვნელოვანი იმ მიზნით, რომ დაამხონ სამართლიანი და ლეგიტიმური დამოუკიდებლობისა და თავაანთი ბუნებრივი სიმდიდრის ნაციონალიზაციისათვის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის პრინციპების ალმაფფოთებელი დარღვევაა. ტრაგიკული გამოცდილება ქვეყნებისა, როგორიც ჩილეა, სადაც ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიებმა ყოველი ღონე იხმარეს ალენდეს ხალხური ფრონტის ხელისუფლებისა ... ალენდეს ... ალენდეს ... ...



მე ვშრომობდი ჩემთვის თანაბრად ძვირფასი ორი ერის — ქართველთა და სომეხთა სცენისათვის...
ჩვენ, საქართველოში აღზრდილი სომეხები, ქართული მიწითა ვართ გაზრდილი, ჩვენ საქართველოს ჰვირის და ლხინის მუდამ თანამოზიარენი ვყოფილვართ და ვიქნებით.

გაბრიელ სუნდუკიანი.

გაბრიელ სუნდუკიანის დაბადების 150 წლისთავი

„მე ვშრომობდი ჩემთვის თანაბრად ძვირფასი ორი ერის — ქართველთა და სომეხთა სცენისათვის“.— ეს სიტყვები სომხური რეალისტური დრამატურგიის ფუძემდებელს, გამოჩენილ სომეხ მწერალს და დრამატურგს გაბრიელ სუნდუკიანს ეკუთვნის.

გაბრიელ სუნდუკიანი დაიბადა 1825 წელს 29 ივლისს თბილისში. მამა ადრე გარდაეცვალა. მთელი ოჯახი დედის—თინათინის ამარა დარჩა. მაგრამ თინათინი უნუგეშობაში არ ჩავარდნილა, ოჯახს რიგიანად გასძღოლია და შვილებისათვის შესაფერი აღზრდა-განათლება მიუცია. სწორედ დედის თავგამოდებული მზრუნველობით რვა წლის გაბრიელი უკვე სისტემატურ განათლების მიღებას იწყებს. სომხური და ქართული ენების გარდა ის სწავლობს რუსულს, ფრანგულს, იტალიურს და ლათინურს. 1838-1840 წლებში პატარა გაბრიელი ჯერ ძმები არწანოვების პანსიონში მეცადინეობს, შემდეგ კი ცნობილი სომეხი მწერლის და ახალი სომხური ლიტერატურული ენის ფუძემდებლის ხაჩატურ აბოვიანის კერძო პანსიონში გადადის. „ჩემი მასწავლებელი იყო ხაჩატურ აბოვიანი, ის მასწავლიდა რუსულ ენას. მისი წყალობით მივიღეს გიმნაზიაში, აბოვიანის მიერ მომზადებული მოსწავლეები თავიანთ ცოდნით გამოირჩეოდნენ არა მარტო თბილისში, არამედ პეტერბურგსა და მოსკოვში“ — მაღლიერებით იგონებდა შემდეგ თავის მასწავლებელს გ. სუნდუკიანი.

მოშავალი დრამატურგი 1840 წელს შედის თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში, 1846 წელს დაამთავრა გიმნაზია და თავის ქართველ თანაკლასელებთან ერთად მიემგზავრება პეტერბურგში. იქ სასწავლებლად პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე შედის (აღმოსავლური ენების განყოფილებაზე), სადაც ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსს პროფესორი დ. ჩუბინიშვილი უკითხავდა.

გ. სუნდუკიანი პეტერბურგში გასაკუთრებით სიბეჯითით სწავლობდა რუსულ კლასიკურ ლიტერატურას, ასევე გატაცებული ყოფილა თეატრით.

1850 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ გ. სუნდუკიანი თბილისში დაბრუნდა და სამელწიფო სამსახური დაიწყო. ამ ხანებში ახალი იდეების გავრცელებისათვის გ. სუნდუკიანი დერბენდში გადასასლეს. თბილისს და ოჯახს მოწყვეტილ გ. სუნდუკიანს გასძნელებია დერბენდში ცხოვრება და სხვადასხვა მაღალი თანამდებობის მოხელეებისათვის თხოვნით მიუმართავს, რათა ისევ თბილისში გადმოეყვანათ. მაგრამ ამაოდ. შემდეგ ამ საქმეში ცნობილ ქართველ პოეტს გრიგოლ ორბელიანს მისთვის დიდი დახმარება გაუწევია და 1858 წელს გ. სუნდუკიანი თბილისში გადმოუყვანიათ.

1865 წელს დრამატურგი თბილისის ამქართა აჯანყებაში მონაწილეობს და ხალხს აბმოხვისკენ მოუწოდებს. ეს მნიშვნელოვანი ფაქტია იმის ნათელსაყოფად, რომ გ. სუნდუკიანი მშრომელ, ხელოსან ხალხს არა მარტო თავის შემოქმედებაში უთანაგრძნობდა, არამედ როცა ამის შესაძლებლობა მიეცემოდა, პრაქტიკულად მათი ქომაგი იყო.

გ. სუნდუკიანი გარდაიცვალა 1912 წლის 16 მარტს, 87 წლისა. დასაფლავებულია თბილისში.

სამწერლო ასპარეზზე გ. სუნდუკიანი გასული საუკუნის 60-იან წლებში გამოვიდა. მან თავის პირველივე ვოდევილით „სალამოს ერთი ცხვირი ხეირია“ (1863 წ.) მკითხველი საზოგადოების ყურადღება მიიპყრო და მაყურებლის სიყვარული მოიპოვა. ამ ვოდევილში, როგორც გ. სუნდუკიანის სხვა ნაწარმოებებში თბილისის ყოფა-ცხოვრებაა ასახული.

გ. სუნდუკიანის ერთ-ერთი პოპულარული პიესაა „ხათაბალა“, რომელიც 1866 წელს დაიწერა. პიესა იმლება XIX საუკუნის თბილისის ცხოვრების ფონზე და გადმოგვცემს ამ პერიოდის საზოგადოებრივი ფენების ყოფით სამყაროს. აქ კარგად ჩანს ბურჟუაზიისადმი დრამატურგის უარყოფითი დამოკიდებულება. პიესის მთავარი გმირი ზამბახოვი იმ პერიოდის თბილისის მეევსში ბურჟუაზიის ტიპიური წარმომადგენელია. ის ყველაფერს ფულით ზომავს და ანგარიშობს.

გ. სუნდუკიანის შემოქმედების საუკეთესო ნიმუშია პიესა „პეპო“. იგი სოციალური ხასიათის ღირთო მხატვრული ტილოა, რომელშიც ასახულია მეცხრამეტე საუკუნის თბილისის საზოგადოებრივი ცხოვრება და მისი სხვადასხვა ფენა, რომელთა შორის კლასობრივი დაპირისპირება და წინააღმდეგობა.

ხალხთა ძმობის ქომაგი

ამ სოციალური წინააღმდეგობის შეგნებულ აღიარებამდე და კლასთა ბრძოლის აუცილებლობამდე ვერ მიდის. მისი გმირის სტაქიურ პროტესტს პასიური ხასიათი აქვს. გ. სუნდუკიანს კლასობრივი შეზუფდულობის გამო არ შეეძლო დაენახა მშრომელ ხალხში კლასობრივი ბრძოლის აქტიური უნარი, რომელიც კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა და მეტრძოლ ძალად ყალიბდებოდა.

დრამატურგის პიესები „კიდევ ერთი მსმენელი“, „დაქცეული ოჯახი“, ვოდევილი „აბანოს ბოსჩა“, პროზაული ნაწარმოები „პამალის მასლაათები“ და სხვ. გასული საუკუნის თბილისის ყოფითი ცხოვრების სურათებს გვიხატავენ.

ქართველმა მაყურებელმა შეიყვარა და შეისისხლხორცა , გ. სუნდუკიანის დრამატურგია. ქართველი ხალხის სიყვარული და პატივისცემა გ. სუნდუკიანმა არა მარტო თავისი შემოქმედებით მოიპოვა, არამედ თავისი კეთილშობილებითაც. იგი სომეხ ხალხს მოუწოდებდა ქართველი ერისადმი დიდ სიყვარულს, კეთილმეზობლობას და პატივისცემას.

შეიძლება თავისუფლად ითქვას, რომ გ. სუნდუკიანი ყველაზე პოპულარული სომეხი მწერალია საქართველოში. ეს არც არის გასაკვირი. იგი საიათნოვასავით მკვიდრი თბილისელი იყო. თვით გ. სუნდუკიანი და მისი ოჯახის წევრები ქართულად წერდნენ და ლაპარაკობდნენ. დრამატურგის მიერ დედისადმი ქართულად მიწერილი წერილები ერთ მოზრდილ ტომს შეადგენს.

მას თბილისი გამორჩეული ყვარებია. მწერლის ქალიშვილის ეკ. სუნდუკიანის მოგონებაში წავიკითხულობთ „მამას ძალიან უყვარდა თბილისი და ყველაფერი აქაური. სხვაგან ცხოვრება არ შეეძლო. ის ხშირად პარიზში მოგზაურობდა, მაგრამ იქიდან დანიშნულ დროზე ადრე ბრუნდებოდა. როდესაც შეკითხვებოდნენ ასე ადრე რატომ დაბრუნდიო, უპასუხებდა: ეს. იქ შეიძლება მართლაც კარგია, მაგრამ თბილისი უკეთესიაო“. არ შეიძლება არ გავიხსენოთ გ. სუნდუკიანის სიტყვები: „მე ამ ქვეყნის შვილი ვარ და საქართველო მიყვარს, როგორც ჩემი საშობლო, ქართველები — როგორც ჩემი ძმები და შვილები“.

გ. სუნდუკიანმა ეს სიყვარული და პატივისცემა თავის მხატვრულ შემოქმედებაში გამოხატა. მისი პიესების გმირები ხომ თბილისის ღვიძლი შვილები არიან, ხოლო თბილისი კი მისი შემოქმედების მდიდარი და ამოუწურავი წყარო იყო. მისი ნაწარმოებები საუნჯეა ქართული ანდაზებით, ქართული გამოთქმებით, გრ. ორბელიანის და ალ. ჭავჭავაძის ლექსებით და სხვ. ეს გარემოებაა მიზეზი იმისა, რომ გ. სუნდუკიანის პიესების ყოველი ნიუანსით გაგება მხოლოდ მას შეუძლია, ვისაც თბილისის ცის ქვეშ უცხოვრია, ვისაც ძველი თბილისის კოლორიტი შეუგრძვნია. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ გ. სუნდუკიანის პიესები ქართულ სცენიდან ამოვიათად ჩამოდიოდა.

მრავალმა ქართველმა მოღვაწემ დაგვიტოვა გულთბილი მოგონება ამ სპეტაკ პიროვნებასა და დრამატურგზე. ამ მოგონებებში გ. სუნდუკიანს ახასიათებენ როგორც ნიჭიერ შემოქმედს და დიდ ქუმანისტს, განსაკუთრებით საყურადღებოა აკ. წერეთლისა და სუნდუკიანის მეგობრობა, რომელსაც ი. გრიშაშვილი ორი ერის შემაერთებელ ხიდს უწოდებს. აკაკის ლექსს მიძღვნილს გ. სუნდუკიანისადმი შეიძლება ეწოდოს ამ ორი ერის ძმობის ქიმნი:

შენ ხომეხი ხარ და მე ქართველი,
მაგრამ ძმები ვართ ერთმანეთისა;
ორივე შვილი ერთი მიწა-წყლის,
ერთ მიდამოსი და ერთი მთისა.

ამ ურიცხვ ხალხის გრძნობას
და სურვილს
მეც შევუერთებ ამ ჩემ
გულისთქმას
და თაყვანსა გცემ, დიდო
მოღვაწევ,
როგორც უმცროსი თავის
უფროს ძმას.

1901 წელს გ. სუნდუკიანის საიუბილეო საღამოზე მას სიტყვით მიმართა მსახიობმა კოტე ყიფიანმა, რომელმაც თავის გამოსვლა ასე დაასრულა, „ნება მიბოძე, მე თქვენგან მადლიერმა მოწაფემ, შვილობრივი სიყვარულის გრძნობით საჯაროდ მოგესალმოთ და გადაგკოცნოთ თქვენ — დაუვიწყარო ხელმძღვანელო და დამრიგებელო“.

გ. სუნდუკიანის შემოქმედების ინტერნაციონალური პათოსი საბჭოთა ეპოქაში ახალი ძალით აფეთქდა და ახმიანდა. ქართველი ხალხი, საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად, დღეს ზეიმით აღნიშნავს მოძმე სომეხი ერის უკვდავი შვილის, გამოჩენილი დრამატურგის, ქართველი და სომეხი ხალხების მეგობრობის თაყვანმოდებული მეხოტბის გაბრიელ სუნდუკიანის იუბილეს.

ბ. არველაძე,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

სამეცნიერო სესიაზე

საქართველოს მწერალთა კავშირმა და რესპუბლიკის თეატრალურმა საზოგადოებამ ა. ზორავას სახელობის მსახიობის სახლში მოაწყვეს გ. სუნდუკიანის ცხოვრებისა და შემოქმედებითი მემკვიდრეობისადმი მიძღვნილი გაერთიანებული სამეცნიერო სესია.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილემ ბ. კობახიძემ.

საქართველოს ბ. სუნდუკიანის პიესების პოპულარობაზე ილაპარაკა პროფესორმა ლ. ჯანელიძემ. სესიაზე მოხსენებები წაიკითხეს აგრეთვე პროფესორმა ა. მხეთარიანმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. ბუხნიკაშვილმა, დოცენტმა ნ. ალანიამ, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ჰ. ბაირამიანმა და გ. სუნდუკიანზე მონოგრაფიის ავტორმა ბ. არველაძემ.

სამეცნიერო სესია, რომელზეც გაბრიელ სუნდუკიანის ნიჭის ბევრი თაყვანისმცემელი იყო, დაესწრო მწერლის შვილიშვილი თბილისელი ინჟინერი გაბრიელ სუნდუკიანი (საქინფორმი).

საქმით გამჭღავნებული სიყვარული

საგულისხმოა, რომ გ. სუნდუკიანი თავის პიესებს თვითონვე თარგმნიდა ქართულ ენაზე. ქართული თეატრის ისტორიაში, სრულიად უნებრივად გ. სუნდუკიანი ქართველ დრამატურგთა და თეატრალურ მოღვაწეთან ამ წრეშია მოქცეული, რომელმაც ქართულ რეალისტურ სასცენო ხელოვნებას საძირკველი გაუმაგრა და განუმტკიცა.

სიტყვას არ გავაგრძელებ გ. სუნდუკიანის შემოქმედების ქართული სცენისათვის დიდ მნიშვნელობაზე. საკმარისი იქნება ვთქვა, რომ პეპო გვერდში ამოუდგა მეცხრამეტე საუკუნის ქართული თეატრის წინამძღოლ გმირებს და ძალა შემატა მებრძოლი სულისკვეთების აღმგზნებ ხელოვნებას — უსამართლობისა და ბოროტების მამხილებელ ტრიბუნად ქცეულ ქართულ სცენას.

ქართული აქტიორული განსახიერების რეალისტური სკოლის ფუძემდებელი ვასო აბაშიძე, დიდ ქართველ მწერალთა თანაბრად, ქართული სცენის მოძღვრად გ. სუნდუკიანს მიიჩნევდა. ვალერიან გუნია გ. სუნდუკიანს ქართული თეატრის დრამატურგად აღიარებდა.

სუნდუკიანის იუბილეს დღეებში მოკრძალებით და პატივისცემით ვიგონებთ მათ, ვინც ათეული წლების მანძილზე, საკუთარი ცხოვრების მაგალითით და შემოქმედებით უნერგავდნენ ხალხს ძმობისა და მეგობრობის სულისკვეთებას. ვიგონებთ ვეორ ხმელაძეს — სომხური რეალისტური ხელოვნების ფუძემდებელს, — რომელმაც „პეპოს“ პირველ ქართულ წარმოდგენებში პეპოს როლი ქართულად შეასრულა. ეკთილად მოსაგონარია თეატრის ბახალაურებისათვის მოღვაწე მსახიობი პოღოს ორაქსიანი, რომელიც ხშირად მონაწილეობდა სუნდუკიანის პიესების ქართულ სცენაზე წარმოდგენებში „კაკულის როლის შესრულებით.

ქართულ საბჭოთა სცენაზე განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მოსცემოდა სუნდუკიანის „პეპოს“ დადგმას, რაც დიმიტრი ალექსიძემ განახორციელა. ამ დადგმაში თავი ისახელა საბჭოთა მსახიობების ახალმა თაობამ: ნოდარ ჩხეიძემ (ბიქო), მ. ჩახვაძემ (ეფემია), ნ. დავითაშვილმა (შუშანა), ე. მანჯგალაძემ (ზიმზიმიკი), დ. აბაშიძემ (გიგოლა), ნ. მეალობლიშვილმა (ეკეკი), კ. მახარაძემ (მსახური). საინტერესო ის არის, რომ თუმცა მათ არც ერთს არ ენახა „პეპო“ — რეჟოლუციამდელ მსახიობთა ბრწყინვალე შესრულებით, მაგრამ ტრადიცია მაინც გაეცოცხლდა და სუნდუკიანის გმირების განსახიერება მსახიობთა ახალი თაობის ერთ-ერთ საყვარელ მიღწევად გახდა. ამ ტრადიციის გადმოცემით მსახიობები ნინო ფავითაშვილი, აკაკი ხორავა და აკაკი ვასაძე რამდენჯერმე გამოვიდნენ ამ სპექტაკლში „მთავარი“ როლების შესრულებლად. დიმიტრი ალექსიძის, როგორც დამდგმელი-რეჟისორის ხელოვნება იმაში გამოჩნდა, რომ ტრადიცია და ნოვატორობა კი არ დაუპირისპირა ერთმანეთს, არამედ მათი შერწყმა მოახდინა. ტრადიციულის და ნოვატორულის ეს შერწყმა რომ კეთილნაყოფიერი იყო, ეს დამტკიცდა იმითაც, რომ წლების მანძილზე „პეპო“ სცენურ სიცოცხლეს ზეიმობდა და 1955 წლის 13 ნოემბერს მეორასე სპექტაკლი დაიდგა. ტრადიციისამებრ ამ საზეიმო სპექტაკლში პეპოს როლი თბილისის სომხური თეატრის მსახიობმა ბ. ნერსესიანმა შეასრულა, ხოლო თბილისის სომხური თეატრის წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს აკაკი ხორავამ და აკაკი ვასაძემ.

დ. ჯანელიძე,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი.

ქირშიც, ლხინშიც...

ქართველი და სომეხი ხალხების მეგობრობას ფესვები შორეულ წარსულში აქვს გადგმული. დიდი ალია წერს: ეს ორი მეზობელი ერი განსაცდელის ჟამს მხარში ედგნენ ერთმანეთს. საქართველო და სომხეთი ისტორიულად ერთმანეთის მფარველი ზღუდეები იყო. მტერი რომ შემოესოდა, ჯერ ეს ზღუდეები უნდა გადმოელახა. ჩვენ არაფერს ვბოგადდით ერთმანეთის საშველად, როცა კი გაგვიჭირდებოდა.

ამ მეგობრობის საჭიროებაზე ქართველ ხალხს უთქვამს ანდაზა: მეზობელ როცა სახლი ეწვის, გახსოვდეს, რომ ეს ცეცხლი შენს სახლსაც ემუქრებაო.

აკაკი წერეთელი, რომელსაც სომეხ მოღვაწეებთან, კერძოდ გაბრიელ სუნდუკიანთან, დიდი მეგობრობა ჰქონდა, თავდადებით იბრძოდა მეზობელ ერებს შორის მეგობრობის განმტკიცებისა და გაღრმავებისათვის. გავიხსენოთ ერთი ეპიზოდი. ცნობილია, რომ მეფის მთავრობა თავისი ბატონობის განმტკიცებისათვის მეზობელ ერებს შორის მტრობასა და შუღს სთესავდა და მათ ერთმანეთის წინააღმდეგ აქეზებდა. 1905 წელს, როცა თათრებსა და სომხებს შორის სისხლისღვრა გაიმართა, აკაკიმ მათ მოუწოდა:

გაადგეთ ხმალი... ხანჯალი,
ხელი მიეცით ძმურადა,
ნუ შეხცქერიხართ ერთმანეთს
მტრულად და ბატონყმურადა.

შეერთდით, ძმებო! შეერთდით,
ხელი ხელს მიეცით ძმურად
და მტერს დაუხვდით გარეშეს
თამამად, ვუკაცურად.

1908 წელს აკაკი წერეთლის სამწერალო მოღვაწეობის ორმოცდამეათე წლისთავის აღსანიშნავად გამართულ ზეიმზე სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, აკაკი ძვირფასი ჩვენთვისაც, რადგანაც „ყოველთვის ქადაგებდა ერთი შორის ძმობას, ერთობასა და სიყვარულსო“.

ხალხთა მეგობრობის საუკეთესო გამომხატველია გ. სუნდუკიანის და ქართველ მოღვაწეთა ურთიერთდამოკიდებულება. გ. სუნდუკიანი თბილისში დაიბადა და ქართულ კულტურაზე აღიზარდა. ნიჭიერი სომეხი დრამატურგი თავის საუცხო პიესებში („პეპო, „ხათაბალა“, „დაქცეული ოჯახი“ და სხვ.) დიდი ხელოვნებით გამოხატავს თბილისის 60-70-იანი წლების ბურჟუაზიის ვერაგ ბუნებას. ამ მხრით მას საქართველოში წინამორბედად ჰყავდა გ. ერისთავი, ზ. ანტონოვი და ლ. არდაზიანი, რომელთა კეთილმყოფელი გავლენაც განიცადა. ქართველი მოღვაწეები სომეხი მწერლის მოღვაწეობის დიდად უწყობდნენ ხელს. 1880 წელს თვით გ. სუნდუკიანმა სომხურიდან ქართულად თარგმნა თავისი საუკეთესო პიესა „პეპო“. ამ წიგნის წინასიტყვაობაში ავტორი დიდ მადლობას გამოთქვამს ქართველთა მიმართ, რომელთა უშუალო დახმარებითაც შეძლო ამ წიგნის გამოქვეყნება. მწერალი აღნიშნავს, „ჩემი პიესები ქართულ სცენაზე უკეთესად მიდის, ვიდრე სომხურზეო“.

როცა სუნდუკიანი გარდაიცვალა (1912 წ.), მისმა მეგობარმა აკაკი წერეთელმა მწერლის ხსოვნას ლექსი მიუძღვნა:

დღეს მარხავენ ადამიანს,
გრძნობიერს და გონიერსა,
ვინც რომ ჰფენდა ციურ
ნათელს
განურჩევლად ყველა ერსა.

გაბრიელ სუნდუკიანს ღრმად სწამდა, რომ ქართველი და სომეხი ხალხების მეგობრობაზე დიდად არის დამოკიდებული მათი კეთილდღეობა. იგი წერდა: „ჩვენ, საქართველოში აღზრდილი სომხები ქართული მიწით ვართ გაზრდილნი, ჩვენ საქართველოს ჰირის და ლხინის მუდამ თანაზიარი ვყოფილვართ და ვიქნებით“. დღეს ქართველობა სომეხ ხალხთან ერთად სიყვარულით იგონებს თავისი მეგობრის, სომხეთის კრიტიკული რეალისტური დრამატურგიის ფუძემდებლის — გაბრიელ სუნდუკიანის სახელს.

ა. გაჩეჩილაძე,
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

**ქართველი და სომეხი ხალხების მეგობრობას მრავალი მხატვრული ტილო — მოუხრია ეს ლეკი მიეცვლა. საკუთველთაგან ცნობილია, რომ ქართველი ერის სასიქადულო მგოსანმა აკაკი წერეთელმა ს

საქართველოს ამა-ბარეთ

მაყურებელმა ნახა პრემიერა

რუსთაველის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მაყურებელმა ნახა პრემიერა — რ. თაბუკაშვილის „რას იტყვის ხალხი?“ სპექტაკლი დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა და დირიქტორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ა. ქუთათელაძემ, მხატვარია ა. ჭელიძე, ქორეოგრაფი რესპუბლიკის დასახურებული არტისტი ბ. მონაკვარდისაშვილი. მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის კომპოზიტორ დ. ტურიაშვილს.

სპექტაკლი, რომელშიც მთავარი როლები შეასრულეს მსახიობებმა ო. სეთურიძემ, ზ. გზირიშვილმა, ლ. შოთაძემ, ვ. ნეფარიძემ (რესპუბლიკის სახალხო არტისტი) ლ. მიშველაძემ, ნ. ხიდურელმა, ბ. კაკაბაძემ, ნ. დათუნაშვილმა, გ. ტყემალაშვილმა, კ. ბექაიამ და სხვ., მაყურებელს მოეწონა.

მ. გეგია.

ბათუმი. (ხაკ. კორ.). ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრმა წარმოადგინა ახალი სპექტაკლი — ვ. როზოვის სამმოქმედებიანი პიესა „საღამოდან შუადღემდე“.

სპექტაკლი, რომელშიც მონაწილეობენ საქართველოს დამსახურებული არტისტები გ. ახვლედიანი, გ. გოგიბერიძე, გ. იმნაიშვილი, ხ. მეგრელიძე და სხვ., დადგა რეჟისორმა ე. ჩაიძემ.

ვ. გორგილაძე.

□

გვექნება მეტი თუთის ხე

100 ჰექტარით გაფართოვდა ამ გაზაფხულზე თუთის ხის პლანტაციები. ისინი გაშენებულია ქართველი სელექციონერების მიერ გამოყვანილი თუთის ჰიბრიდული ჯიშებით, როგორიცაა „თბილისური“, „ქუთათური“, „ივერია“, „ოშიმა“. ეს ჯიშები ორჯერ მეტ ფოთოლს იძლევიან, ვიდრე სხვა ჯიშები, ამასთან ფოთოლი მოჭრის შემდეგ დიდხანს ახალი რჩება. „თბილისური“ ჯიშის თუთის ხე ადრე იფოთლება, რაც საშუალებას აძლევს მეაბრეშუმეებს ჩვეულებრივზე ადრე დაიწყონ აბრეშუმის ჭიის გამოკვება.

წლეულს რესპუბლიკაში თუთის პლანტაციებს დაეთმობა ათას ჰექტარზე მეტი.

(საქინფორმი).

თქვენთვის, მგზავრებო!

აეროფლოტი გიწვევთ

დღეს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის საქართველოს სალარეებში ჩვენი ქვეყნის ყველა ავიახაზებზე ახალი განრიგის მიხედვით იწყება ბილეთების წინასწარი გაყიდვა

ნლევანდელი წლის 1 ივნისიდან ხსრ კავშირის ტერიტორიაზე შემოღებული იქნება სამოქალაქო ავიაციის საჰაერო ხაზებზე თვითმფრინავების მოძრაობის ახალი განრიგი.

როგორ მოემზადა ამ დიდი მოვლენისათვის საქართველოს სამოქალაქო ავიაციის საძალთველო? რომელი ახალი ავიახაზები ჩადგება მწყობრში? როგორ გაუჯობესდება მგზავრთა მომსახურება? — ამ კითხვებზე გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტს ვალ. ბენზაურს უპასუხა ხამმართველოს უფროსის მოადგილემ ბ. ჩიტალაძემ.

— **საქართველოს** სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს აეროპორტები საჰაერო ხაზებით ჩვენი ქვეყნის ორმოცდაათზე მეტ ქალაქს უკავშირდება. ძირითადი თბილის-მოსკოვის ხაზია. მასზე დღეში ცხრა რეისი შესრულდება. მოსკოვს თვითძრინავები ათასზე მეტ მგზავრს ჩაიყვანენ და ამდენივე მგზავრი ჩამოვა ჩვენს დედაქალაქში, „ტუ-104“ თვითმფრინავების გარდა ამ ტრასაზე მიმდინარე სეზონში პირველად გავა სამი ახალი ლაინერი „ტუ-154“. ეს თანამედროვე რეაქტიული ძლავრი თვითმფრინავები (თვითეული 152 მგზავრს იტევს) აღჭურვილია ტექნიკის უკანასკნელი მიღწევებით. მათ პრაქტიკულად ყოველგვარ ამინდში შეუძლიათ აფრენაც და დაჯდომაც.

მგზავრთა უკეთ მომსახურების მიზნით პირველი რეისი დაინიშნა დილის 6 საათსა და 28 წუთზე.

„ტუ-134“ ლაინერები ახალი რეისით ივლისს — **თბილისი-აქტიუბინსკი-ნოვოსიბირსკი.** შემოღებულია კიდევ ერთი დამატებითი რეისი — **თბილისი-ლენინგრადი.** „ან-24“ თვითმფრინავები მგზავრებს გადაიყვანენ ძარშრუტით: **თბილისი-სოხუმი-როსტოვი-ჟურსკი.** აღდგა **თბილისი-ბაქო-ალმა-ათას** რეისი, რომელზეც „ილ-18“ თვითმფრინავები იფრენენ:

სოხუმის აეროპორტი ამჟამად პირდაპირ უკავშირდება აქტიუბინსკს, ალმა-ათას, ოდესას; **ქუთაისი-კიევი - ლენინგრადის** ტრასაზე ივლილ **„ტუ-134“** ლაინერები. ახალი დამატებითი რეისია შემოღებული **ბათუმი-ძოსკოვის** ხაზეც. **სოხუმი-მოსკოვის** ტრასას მოეძსახურება მოსკოვის სამმართველოს „ტუ-154“ მარკის ხუთი ლაინერი. **ახალი ხაზები** გაიხსნება **ბათუმი-ერევნის** და **ბათუმი-ლენინაკანის** ტრასაზე. ამ რეისებში ივლილ „იაკ-40“ მარკის თვითმფრინავები.

რა სიახლეებია ადგილობრივ ავიახაზებზე?

ყიზლარის **საძოგრების** მუშაკებისათვის ზაფხულის პერიოდში აღდგენილია **რეისი თბილისი-მახაჩყალა.** ხოლო მწყემსებისა და დამსვენებლების მომსახურებისათვის აღდგება **თელავი-ომალოს** (მთათუშეთი) საკერტმფრენო ხაზი.

მოკლე ხანში თბილისსა და ქუთაისს შორის მგზავრთა ე. წ. აეროხუსური გადაყვანა დაიწყება (საავტობუსო მოძრაობის პრინციპით), მგზავრებს საშუალება ეძლებათ დღის ყოველ დროს იმგზავრონ.

რესპუბლიკის მოსახლეობისა და კურორტების დამსვენებელთა მომსახურების გაუჯობესების მიზნით გაფართოვდა სალაროების ქსელი. ყველა სანატორიუმში, დასასვენებელ სახლში, ტუმანზასა და ახასიოხატში ოთოგორც საკავშირო, ისე ადგილობრივ ხაზებზე ბილეთები წინასწარ გაიყიდება. საკაიო მომსახურების ცენტრალურმა საგენტომ ახალი სალაროები გახსნა თბილისის მეტროპოლიტენსა და რუსთაველ ქიმიურ კომბინატში. მგზავრთა სურვილისამებრ ბილეთების მიტანა მოხდება ბინებში, სამუშაო ადგილებზე და სასტუმროებში.

თბილისისა და სოხუმის საავიაგენტოებში მუშაობს მანიპულატორული ავტომატური სისტემა **„ხირენა“,** რომლითაც თბილისიდან და სოხუმიდან მოსკოვის გავლით მგზავრს შეუძლია ბილეთი შეუკვეთოს ჩვენი ქვეყნის ყველა ძიმპორტულებით მომავალ ავიახაზებზე და პირიქით.

წლეულს რესპუბლიკის ავიატორებს დიდი გეგმები აქვთ. მათ ორ მილიონზე მეტი მგზავრი უნდა გადაიყვანონ და ძთლიანად უნდა უზრუნველყონ საფოსტო და სახალხო-სამეურნეო ტვირთზიდვა.

* * *

სურათებზე: ზემოთ — საჰაერო მიმოსვლის ცენტრალური საავიაგენტოს მოლარე მ. შერგელაშვილი მგზავრისათვის ბილეთს უკვეთავს „სირენის“ სისტემით; „ტუ-154“ ლაინერი თბილისის აეროპორტში.

ჭადრაკის ამბები

ეპტჩ-ტურნირი ბაქს ეივეს ჰატივსაცემად

ამსტერდამი დაიწყო მსოფლიოს ექს-ჩემპიონისა და ფიდე-ს პრეზიდენტ მაქს ეივეს პატივსაცემად მოწყობილი მატჩ-ტურნირი. ეივეს 75 წელი შეუსრულდა.

— მე არასოდეს მითამაშია ასეთ ტურნირში — განაცხადა მსოფლიოს ჩემპიონმა ანატოლი კარპოვმა, — აქ ხომ სულ 6 პარტიაა. ასე რომ, თვითეულ შეხვედრას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ამ შეჯიბრების დამთავრების შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონი ესპანეთში გაემგზავრება, სადაც უდიდეს საჭადრაკო ჯილდოს — „ოსკარს“ გადასცემენ. შემდეგ კარპოვი საფრანგეთს ეწვევა.

ამსტერდამში კარპოვს 3 მეტოქე ჰყავს, რომელთაც ორ-ორჯერ შეკვდება. ცნობილი დიდოსტატი ფრიდრიკ ოლაფსონი (ისლანდია) 1959 წელს მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტი იყო, წარმატებით ითამაშა უკრაკ ტურნირში. უოლტერ ბრაუნი შარშან და შარშანწინ ზედიზედ ორჯერ გახდა აშშ-ის ჩემპიონი და საზონათაშორისო ტურნირში თამაშის უფლება მოიპოვა. აშშ-ის საჭადრაკო ფედერაციის დირექტორ-განმკარგულებელი ედმონდსონი ბრაუნზე დიდ იმედებს ამყარებს და ხშირად გზავნის მას შეჯიბრებებზე. თვით ბრაუნს მეტად დიდი შეხედულება აქვს საკუთარ თამაშზე და აცხადებს, „მსოფლიოს ჩემპიონობას ვუმიზნებო“. ჰოლანდიის № 1 მოჭადრაკე იან ტიმანს ჩვენი გულშემატკივრები კარგად იცნობენ. იგი 1971 წელს თამაშობდა ვიქტორ გოგლიძის მემორიალში. ისევე, როგორც ოლაფსონი და ბრაუნი, ტიმანიც პროფესიონალი მოჭადრაკეა.

პირველ ტურში კარპოვი შავებით ეთამაშებოდა ბრაუნს. ამსოფლიოს ჩემპიონმა მალე გაათანაბრა პარტია, ხოლო, როცა ამერიკელი ცაიტნოტში მოხვდა, პაიკიც მოიგო. პარტია გადაიდო ნმ-ე სვლაზე და სპეციალისტთა აზრით შავების გამარჯვება, როგორც იტყვიან — „ტექნიკის საქმეა“. ოლაფსონმა დაამარცხა ტიმანი. ამასთან ისლანდიელი შავებით თამაშობდა, მან შეძლო მდგომარეობის გათანაბრება, შემდეგ პაიკიც მოიგო, ამ-ე სვლაზე ლაზიერიც შეხწორა და ტიმანმა თავი დამარცხებულად სცნო.

გ. გამრეკელი.

საქართველოს პირველოგაზე

მერვე ტურში ყურადღების ცენტრში იყო ჩემპიონობის პრეტენდენტების უბილავა-სტურუას და ზაიჩიკ-ჩიქოვანის პარტიები. პირველი შეხვდრა სწრაფად დამთავრდა. სტურუამ შავებით სუსტად გაითამაშა სიცილიური დაცვა და მეტოქის უძლიერესი ოერიშის შედეგად მე-17 სვლაზე შეწყვიტა წინააღმდეგობა. ჩიქოვანმა, რომელიც ამ ტურნირში ჩინებულად თამაშობს, შავებით უპირატესობა მოიპოვა და მოუგო ზაიჩიკს. კაპანაძემ სძლია სიხარულიძეს, კალატოზიშვილმა — გრიგორიშვილს, ჭიკაშვილ-ჯანოევი და შოგირაძე-გედევანიშვილი ყაიმზე შეთანხმდნენ. ორი პარტია გადაიდო.

8 ტურის შემდეგ 6.5 ქულით პირველ-მეორე ადგილებს იყოფენ ოსტატები იური ჩიქოვანი და ელიზბარ უბილავა. საპრიზო ადგილების დანარჩენი პრეტენდენტების მდგომარეობას გამოარკვევს გადადებული პარტიების დამთავრება.

ერთხელაც ასე იყო

ჭოვადრაკის მოღვაწეობაში არის ისეთი შემთხვევები, რომელთა გახსენება უნებლიე ღიმილს იწვევს. სწორედ ასეთი ამბები ახალისებს და ამდიდრებს მის დაძაბულ სპორტულ ცხოვრებას.

შემთხვევების საკმაოდ მდიდარი „სკეჩი“ მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს, დიდოსტატ ნ. გაფრინდაშვილსაც აქვს. მისი „თავის მოხსნა“ მუდამ სიამოვნებს ჭადრაკის დედოფალს.

გამოიცნო...

ნორჩი ნონა თავის მეგობარ მანანა ტოგონიძესთან ერთად საკავშირო ჩემპიონატები სათამაშოდ მიეშურებოდა. მეზობელ კუპეში ახალგაზრდა საბჭოთა ოფიცრები დაეგზავნიენ. გაცნობისას გოგონებმა თან შესთავაზეს გამოეცნოთ, თუ სპორტის რომელი სახეობის წარმომადგენლები იყვნენ ისინი.

ახალგაცნობილნი საგონებელში ჩავარდნენ. მანანა ტანადი იყო, ნონა კი, ძასთან შედარებით ციცქნა ჩანდა. ბოლოს ერთმა ოფიცერმა უთხრა მანანას:

— თქვენ ბადროს მტყორცნელი ხართ, ნახო დუმბაძეს ჰგავხართ.

გოგონებმა გადაიხარხარეს.

— ჩვენ სპორტის ერთ სახეობას ვეესახურებით, — მიუგო ნონამ ნიშნის მოგებით.

— აა, მივხვდი, — გაიღიმა ოფიცერმა, — თქვენ, ნონა, ის ხართ, ვინც მანანას ნატყორცნ ბადროს უკან ძოარბენინებს!

ქომაგოგაც ეს არის

ჰასტინგსის 1965 წლის საერთაშორისო ტურნირში დიდოსტატი პ. კერესი ნოხასთან შეხვედრაში დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. ორდღიანი ბრძოლის შემდეგ, დიდოსტატს მოგების იმედი რომ გადაეწურა, მან ჭადრაკის დედოფალს ყაიმი შესთავაზა. და სწორედ აქ მოხდა კურიოზი.

როგორც ჯენტლმენმა, კერესმა ქალს პირველმა ხელი არ გაუწოდა, დაუზადა ღიმილით მიუღიცა. ქვეყნ მყოფდა ჭაბუკმა დემონსტრატორმა ეს თავისებურად გაიგო. მან გადაწყვიტა, რომ დიდოსტატი დანებდა და სადემონსტრაციო დაფაზე შესაფერი ნიშანი გამოაკრა. ნონას „მოგებამ“ მაყურებელთა ისეთი აღტაცება გამოიწვია, ლამის ჭერი ჩამოიღო. მერეც, როცა შეცდომა გასწორდა, გულშემატკივართა მხიარული განწყობილება დიდხანს არ განელებულა.

„მარსად“ მოგება

— ამბობენ ჭადრაკში ნარდივით მარსად მოგება არ შეიძლებაო. მე კი ერთხელ მოვიგე, — იცინის ნონა.

ეს ამბავიც 1965 წელს ჰასტინგსში მოხდა. როცა ინგლისელი ოსტატი ჰინდლი ნონას ხელს ართმევდა დანებების ნიშნად, უცებ გამოითქვა ელექტროდენი და ტელეგადაცემაც შეწყდა რეჟისორს დაენანა ამ ძვირფასი მომენტის დაკარგვა და როგორც კი სინათლე აინთო, მეტოქეებს სთხოვა გაემეორებინათ დანებების მომენტი. ჰინდლი უხალისოდ მიუჯდა მაგიდას და კვლავ დანებდა. მერე ნონას სვედანარეკი ღიმილით უთხრა:

— ორჯერ ერთი და იგივე პარტია პირველად წაგაგე, ისიც მილიონი მაყურებლის თანდასწრებით. ეს მხოლოდ ქალთან პარტიაში შეიძლება მომხდარიყო.

სწორი დიაგნოზი

ვ. გოგლიძის 1971 წლის მემორიალის ბოლო ტურის წინ ნონა გაცივდა და უქეიფოდ შეიქნა. როცა იგი თამაშზე სიცხიანი გამოცხადდა, მისმა მეტოქემ ბულგარელმა ოსტატმა ნ. რადევმა, პროფესიითა ექიმმა, ინუმრა: ქალბატონი ნონა თამაშში გამოჯანმრთელდებაო.

როგორც მემორიალის მთავარ მსაჯს, წესით ნონასთვის თამაშის უფლება არ უნდა მომეცა, მაგრამ პარტიის გადადება არ შეიძლებოდა, არც ჭადრაკის დედოფლის გაწბილება შემეძლო.

მართლაც, ბრძოლაში ნონას სიცხემ გაუარა, მაგრამ დიდი სიცხე და ხვატი დაფაზე დატრიალდა. უსასტიკეს თამაშში რადევი დამარცხდა.

— ეს რა მიქნა დედოფალმა. მოდი და თქვი: ქალთან თამაშს რა უნდაო. დიაგნოზი ხომ მაინც სწორი დავსვი.

თ. გიორგაძე.

ერაოვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი კინოაფიშა

კიკინებიანი სასწაული

ბოლო ათი წლის მანძილზე მსოფლიო ტანვარჯიშს მრავალი ურთულესი ელემენტი დაემატა. ჩვენი სპორტული სკოლა მოწინავე გახდა. მაგრამ ეს წარმატება, სილამაზე, სიმსუბუქე და ხელოვნება, რომლითაც სპორტსმენები გამოირჩევიან, მრავალი წლის შრომის შედეგია.

ფილმის მოქმედება უმთავრესად საერთაშორისო შეჯიბრების დროს ხდება, სადაც გაცხარებული იბრძვიან ხაბრიზო ადგილებისთვის საუკეთესო ტანმოვარჯიშენი.

სცენარის ავტორია ა. ლაპშინი. რეჟისორი ვ. ტატოვი.

როლებს ასრულებენ: ი. მაზურკევიჩი, ა. ეფროვა, ი. ბასულოვიჩი, ა. კალიაგინი და სხვ. („მოსფილმი“).

მოტოციკლისტების ზაფხული

ცნობილმა რიგელმა კინოდოკუმენტალისტმა, რეჟისორმა ულდის ბრაუნსმა გადაიღო მხატვრული ფილმი, რომლის სცენარი პოპულარულმა რიგელმა პროზაიკოსმა ანდრეი იანკუნანმა და დრამატურგმა ელმარ ანსონმა დაწერეს.

— ფილმის გმირს — მარიხს ლედამ თვრამეტი წლის აღსანიშნავად მოტოციკლი აჩუქა. გახარებული მარიხი მეგობრებთან ერთად ქალაქგარეთ გაემგზავრა. მდინარის პირას ეამწვლილებს მექორწილენი წამოეწივნენ. და აქ მოხდა მოულოდნელი ამბავი. პატარძალმა დრო იხელთა და მარიხს სთხოვა მომიტაციეო...

მარიხის როლს ასრულებს ჭაბუკი მსახიობი პეტრიხ გაუდინი. ხოლო პატარძალს — მოსწავლე ინესე იანსონი. ეს მისი პირველი როლია კინოში. (რიგის კინოსტუდია).

წარღვნა

ცნობილი პოლონელი რეჟისორის ეჟი გოფმანის ახალი ფილმი „წარღვნა“ ოთხსერიისაგან შედგება. იგი პოლონელი კლასიკოსის, ნობელის პრემიის ლაურეატის, ჰ. სენკევიჩის რომანის მიხედვით არის გადაღებული და შეიდ ინტერვენტთა წინააღმდეგ პოლონელი ხალხის გმირულ ბრძოლას გვიჩვენებს.

მთავარ როლს — ანჯეი ენტიცის სახეს პოპულარული მსახიობი დანიელ ოლბრიხსკი ქმნის, რომელიც ისევე უყვართ, როგორც ოდესღაც ზბიგნევ ციბულსკი უყვარდათ.

სცენარის ავტორები არიან: ე. ბოფმანი, ა. კერსტენი, ჯ. ეუკაროვსკი. (პოლონეთი).

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

მწვავე სიგნალი

ეს სიახლეა

ან ვისი მიზეზით გაფუჭდა ორ ტონაჟზე მეტი ქათმის ხორცი

ამ ამბის მოყოლა არც ისე სასიამოვნოა... ეს დღესასწაულის წინა დღეს—8 მაისს მოხდა. გამარჯვებისა და კოდის მეფრინველეობის ფაბრიკებს დაევალათ თბილისს მშრომელებისათვის გაცილებით უფრო მეტი ფრინველის ხორცი მიეწოდებინათ, ვიდრე წინა დღეებში.

ფაბრიკების კოლექტივებმა ყველაფერი ღონეს იმისათვის, რომ დავალება შეესრულებინათ. მთელი დღე ამზადებდნენ ქათმის ხორცს და გზავნიდნენ მაღაზიებში გასაყიდად. მაღაზიებსაც მიეცათ სათანადო მითითება, რომ პროდუქცია დროზე მიეღოთ და მიეყიდათ მომმხარებლისათვის.

გამარჯვების ფაბრიკამ (დირექტორი ზ. მანთაშაშვილი) 8 მაისს თბილისს კალინინის რაიონის მე-14, ლენინის რაიონის 30-ე კვებაჭრობისა და ორჯონიკიძის რაიონის „სურსათაჭრობის“ მე-6 მაღაზიისათვის გამოყო 16.800 კილოგრამი ქათმის ხორცი. სპეციალისტებმა, მუშებმა მთელი ენერგიით იმუშავეს მის გადასაზიდავად, გამოყვეს ავტომანქანები, მძღოლ-ექსპედიტორები.

კალინინის რაიონის მე-19 კვებაჭრობის მაღაზიას ფაბრიკამ სარეალიზაციოდ 2 ტონის ნაცვლად 5 ტონა ქათმის ხორცი გამოუგზავნა. პროდუქციის რაოდენობის ზრდამ გრაფიკი გადასწია, მაგრამ მაღაზიის მუშაკებმა იყოჩაღეს და ხორცი შეუფერხებლად გაყიდეს. ლენინის რაიონის 30-ე მაღაზიის მუშაკებმაც თუმცა დიდი დაგვიანებით მიიღეს 5 ტონა ხორცი, ნაცვლად 1,5 ტონისა, მაინც იგი დროულად მიჰყიდეს მომხმარებლებს.

სამწუხაროდ, ასე არ მოიქცნენ ორჯონიკიძის რაიონის „სურსათაჭრობის“ მე-6 მაღაზიის მესვეურები. გამარჯვების ფეფრინველეობის ფაბრიკიდან ამ მაღაზიაში ნაცვლად 2 საათისა, სალამოს 9 საათზე და 20 წუთზე 5.072 კილოგრამი ქათმის ხორცი მიიტანეს (ფაბრიკის ექსპედიტორი — ვ. ჯაჭვაძე), ცხადია, გრაფიკი დაირღვა, მაგრამ ხომ შეიძლებოდა მაღაზიას, რომელიც 11 საათამდე მუშაობს, რამდენიმე ადგილას გაეყიდა ხორცი? მაგრამ დირექტორმა, კომუნისტმა შ. თომაევმა და სექციონერმა თ. მარსაგიშვილმა ბაკალული ქათმებით დატვირთული მანქანა დროზე არ დაცალეს. დირექტორმა თავი იმართლა: დაღლილები ვიყავითო. საინტერესოა, რომ დალალთ, როდესაც იმ დღეს მხოლოდ 700 კილოგრამი ხორცი გაყიდეს?

სალამოს 11 საათამდე ქათმის ხორცით დატვირთული მანქანა მაღაზიის წინ იდგა, მომხმარებლები კი ამაოდ ელოდნენ ხორცს. როგორც იქნა, დიდი ხვეწნის შემდეგ, ძლივს გადმოტვირთეს ამ პროდუქციის მხოლოდ 2.243 კილოგრამი.

მართალია, მაღაზიის სამაცივრო კამერების ტევადობა ვერ უზრუველყოფდა აღნიშნული რაოდენობით ხორცის შენახვას, მაგრამ მათაც ისე, როგორც სხვა მაღაზიებმა გააკეთეს, ხომ შეეძლოთ იმავე დღეს რამდენიმე ადგილას გაეყიდათ ქათმები, ან ეცნობებინათ მეფრინველეობის ფაბრიკასა და რაიისსურსათთა ვაჭრობის ხელმძღვანელობისათვის, გაენწყლებინათ სხვა მაღაზიებისათვის?

მაღაზიის დირექტორის უდარდელობისა და ფაბრიკის მძღოლ-ექსპედიტორის ვ. ჯაჭვაძის უპასუხისმგებლობის შედეგად პროდუქციით დატვირთული მანქანა მთელი ღამე დაუცლელი იდგა, ამის გამო გაფუჭდა 2.248 კილოგრამი ქათმის ხორცი.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ 14 მაისს იმსჯელა ამ აღმაშფოთებელი ფაქტის გამო და მაღაზიის დირექტორი შ. თომაევი გაათავისუფლა სამუშაოდან, მაგრამ პასუხი უნდა აგონ თვით გამარჯვების ფაბრიკის ექსპედიტორმა ვ. ჯაჭვაძემ, მაღაზიის სექციონერმა თ. მარსაგიშვილმა და სხვებმა, რომლებსაც წელი უძევთ ორ ტონაზე მეტი ქათმის ხორცის გაფუჭებასა და სახელმწიფოსათვის 5.957 მანეთის ზარალის მიყენებაში. სამწუხაროდ, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს გაერთიანება „საქფრინველმრეწვს“ (მმართველი ნ. ჯინჭარაძე) დღემდე დამნაშავენი არ დაუსჯია.

შ. ბოგუა.

რედაქციისაგან: ამ კრიტიკულ წერილში მოყვანილი მეტად აღმაშფოთებელი ფაქტები ლაპარაკობს იმაზე, რომ ვაჭრობისა და სამეურნეო დარგის ზოგიერთი მუშაკი თავისი მოქმედებით ხელს უშლის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის საჭირო ღონისძიებათა განხორციელებას რესპუბლიკისა და კერძოდ ქალაქ თბილისის მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფაში.

სამწუხაროა, რომ თავისი მოვალეობისადმი ასეთ უგულო, უდარდელ, აგდებულ, უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას ჯერ კიდევ არაერთი მუშაკი იჩენს. ამაზე კი სათანადო ორგანოები თავის დროზე როდი ახდენენ რეაგირებას და ხშირად პასუხს არ ხთხოვენ დამნაშავეებს.

მოსკოვი. გაზაფხულის დადგომასთან ერთად მკვეთრად გაიზარდა ტრანსპორტის ნაკადი დედაქალაქისა და სხვა ქალაქების ქუჩებში. მოძრაობის უსაფრთხოების რეკომენდაციები, ტრანსპორტის ნაკადის რაციონალური მიმართულების ამორჩევა, რეგულირების ტექნიკური საშუალებების გაუმჯობესება — ამ საკითხებზე მუშაობენ სპეციალური ხამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშაკები.

სურათზე: ორინა დავიდენკო უჩვენებს სიახლეს — კომპაქტურ სტოპ-სიგნალს.

ქიევი. ქარხანა „მაიაკში“ დაიწყეს უმაღლესი კლასის სტერეოფონური მაგნიტოფონის „მაიაკ-001“-ის ახალი მოდელის გამოშვება. კონსტრუქციაში გამოყენებულია მაგნიტოფონის უმავთულო დისტანციური მართვა.

სურათზე: ამწყობი ხაამქროს მუშა კომკავშირელი ვალენტინა შპაკი უჩვენებს ახალ სტერეოფონურ მაგნიტოფონს „მაიაკ-001“-ს.

(საკლესის ფოტოქრონიკა).



ვოლოგდა. ჭსოვიანი და მოსტატულობის ოსტატები განთქმულია ვოლოგდის საწარმოო გაერთიანება „ნნეფინკა“. ხრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში დიდი წარმატებებისათვის გაერთიანება დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამახსოვრო ნიშნით — „მეცხრე ხუთწლედში შრომითი მამაცობისათვის“.

სურათზე: გალინა ვახინა უჩვენებს ახალ მაქმანებს.

ფეხბურთი

მატჩი მოსკოვში

გუშინ მოსკოვში საბჭოთა კავშირის პირველობაზე ფეხბურთში თამაშობდნენ მოსკოვის „ტორპედო“ და ლენინგრადის „ზენიტი“. მატჩი დამთავრდა ლენინგრადელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

თბილისის დინამოელები — ნაკრებში

საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ფეხბურთელთა ნაკრები ევროპის პირველობაზე ნახევარფინალში გავიდა და ორ მატჩს გამართავს ჰოლანდიელ თანატოლებთან. ეს თამაშები მაისში შედგება საბჭოთა კავშირში და ჰოლანდიაში. უფროსმა მწვრთნელმა, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ვალენტინ ნიკოლაევმა ნაკრებში მიიწვია დავით ყიფიანი და ვლადიმერ გუცაევი. ისინი არ ითამაშებენ 19 მაისს მოსკოვში „ლოკომოტივთან“, 23 მაისს კიევში „დინამოსთან“ და გუნდს 26 მაისს დაუბრუნდებიან.

ასევე ჩვენი ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრებში მიწვეული არიან თბილისელი დინამოელები ვიტალი დარასელია და მეკარე კარლო მჭედლიძე. ჭაბუკები 26 მაისამდე შეკრებას მოსკოვში გაიკლიან და შემდეგ ევროპის პირველობის დასკვნითს ნაწილში სათამაშოდ რუმინეთში გაემგზავრებიან. ეს ორი ჭაბუკი ფეხბურთელი თავის გუნდს 6 ივნისს შეუერთდება.

ჭოგბურთი

ანგარიშია 2:0

ალ. მეტრეველისა და თ. კაკულიას წარმატება

დასავლეთ გერმანიის ქალაქ ბად-ჰომბურგში დეკისის თასის გათამაშების მეოთხედფინალში ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩოგბურთელები. სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ალექსანდრე მეტრეველმა მოუგო ული პინერს (8:10, 6:3, 6:4, 6:2). შემდეგ მოედანზე ერთმანეთს შეხვდნენ ჩვენი ქვეყნის მეორე ჩოგანი თეიმურაზ კაკულია და კარლ მაილერი. პირველ სამ პარტიაში იგებდა (6:3, 0:6, 6:2) ქართველი სპორტსმენი. მეოთხე პარტიაში, როცა ანგარიში 1:1 იყო, დასავლეთგერმანელი ჩოგბურთელი დაშავდა და შეჯიბრება ვერ განაგრძო. გამარჯვება თ. კაკულიას მიენიჭა. ჯერჯერობით ანგარიშია 2:0 საბჭოთა გუნდის სასარგებლოდ.

ფეხბურთი

მატჩი მოსკოვში

გუშინ მოსკოვში საბჭოთა კავშირის პირველობაზე ფეხბურთში თამაშობდნენ მოსკოვის „ტორპედო“ და ლენინგრადის „ზენიტი“. მატჩი დამთავრდა ლენინგრადელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

თბილისის დინამოელები — ნაკრებში

საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ფეხბურთელთა ნაკრები ევროპის პირველობაზე ნახევარფინალში გავიდა და ორ მატჩს გამართავს ჰოლანდიელ თანატოლებთან. ეს თამაშები მაისში შედგება საბჭოთა კავშირში და ჰოლანდიაში. უფროსმა მწვრთნელმა, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ვალენტინ ნიკოლაევმა ნაკრებში მიიწვია დავით ყიფიანი და ვლადიმერ გუცაევი. ისინი არ ითამაშებენ 19 მაისს მოსკოვში „ლოკომოტივთან“, 23 მაისს კიევში „დინამოსთან“ და გუნდს 26 მაისს დაუბრუნდებიან.

ასევე ჩვენი ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრებში მიწვეული არიან თბილისელი დინამოელები ვიტალი დარასელია და მეკარე კარლო მჭედლიძე. ჭაბუკები 26 მაისამდე შეკრებას მოსკოვში გაიკლიან და შემდეგ ევროპის პირველობის დასკვნითს ნაწილში სათამაშოდ რუმინეთში გაემგზავრებიან. ეს ორი ჭაბუკი ფეხბურთელი თავის გუნდს 6 ივნისს შეუერთდება.

მოკლედ

ველოგბოლა. მშვიდობის ველორბოლის მეხუთე ეტაპმა სტარტი ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ტატანასკა-ლომნიცამი აიღო და ფინეთში პოლონეთის უძველეს ქალაქ კრაკოვში ჰქონდა. 151 კილომეტრიანი მანძილი ყველაზე ადრე დაამთავრა ჩეხოსლოვაკიელმა პაველ ბალეკმა. ფინეთშეზე მეორე მოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენი ჰანს-იოახიმ ხარტნიკი. მესამე იყო პოლონელი სტანისლავ შოზდა. ველოსრბოლის ლიდერი ხარტნიკი გახდა.

ძალოსნობა. ყარაგანდაში საბჭოთა კავშირის პირველობაზე პირველ ქვემძმე წონაში მასტელმა დავით რაგერტაძა გაიმარჯვა და ქვეყნის ჩემპიონი გახდა — 400 კილოგრამმ. მან ორი ისოფლიო რეკორდი დაამყარა. ატაცი — 180 კილოგრამი და ორჭიდი — 400 კილოგრამი. მეორე ადგილზე გავიდა კიეველი სერგეი პოლტორაცკი; მესამეზე — გროზნოელი ადამ საიდულაევი. მეორე ქვემძმე წონაში ყველას აჯობა როსტოველმა ალამ აჩიჩაევმა — 380 კილოგრამი. ხუთი კილოგრამით ნაკლები დაგროვეს კუბიბეველმა ალექსანდრე კონეხოვმა და ხძენინიცელმა ნიკოლოზ კოლესნიკმა. ვერცხლის მედალი კონეხოვს მიეკუთვნა, რადგან წონაში მეტოქეზე ისუფუქი იყო.

კრივი. ქუთაისში დამთავრდა საქართველოს პირად-გუნდური პირველობა. საქართველოს ჩემპიონები წონითი კატეგორიების მიხედვით გახდნენ თბილისელი სპორტსმენები, დინამოელები ა. ხიზანიშვილი და დ. ასოკი, ვ. კუხიანიძე („ბურევესტნიკი“), ს. პეტროსიანი (შეიარაღებული ძალები